დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია მოსაშვილი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ილია ბოცვაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

ნინო ზარნაძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

ია ნაცვლიშვილი, სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

დავით კაკიაშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2023

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	კ. ქუთათელაძის ქ. №3, თბილისი, 0186
ვებ-გვერდი	https://www.sabauni.edu.ge/ka
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	2 აპრილი, 2021 წელი 320271
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2 აპრილი, 2027 წელი

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	18
ბაკალავრიატი	10
მაგისტრატურა	5
ერთსაფეხურიანი	-
დოქტორანტურა	3
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	18
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	971	971	1174
ბაკალავრიატი	753	654	831
მაგისტრატურა	180	301	343
ერთსაფეხურიანი	0	0	0
დოქტორანტურა	38	16	0
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	0	0	0
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	0	0	0
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	3	0	0

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3^{48} პუნქტში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	0	0	0

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	307
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	125
- პროფესორი	19
- ასოცირებული პროფესორი	67
- ასისტენტ პროფესორი	10
- ასისტენტი	29
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	0
- მეცნიერი	0
- პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	68
- აფილირებული პროფესორი	16
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	25
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	**6**
- აფილირებული ასისტენტი	21
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	13
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	127
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	55

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	2995.75
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1536.13
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1459.62

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

<table>
<tr><td colspan="2">აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2023 წლის 28 ნოემბრის MES 3 23 0001609971 ბრძანების თანახმად შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით. აღნიშნული მონიტორინგი განხორციელდა მოწოდებული მასალების და უნივერსიტეტში ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუების, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტში ვიზიტამდე, მასალების პირველადი გაცნობის შემდეგ ჩაატარა ორი ონლაინ შეხვედრა ჯგუფის წევრებს შორის აზრთა გაზიარების და პირველადი სურათის დანახვის მიზნით. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 4-5 დეკემბერს. ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ იქნა სხვადასხვა დოკუმენტები, რაც დროულად იქნა მოწოდებული უნივერსიტეტის მხრიდან. ინტერვიუების პროცესმა ჩაიარა ჰიბრიდულ რეჟიმში, მშვიდ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში შეამოწმა 2021 წლის ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაციების შესრულების პირობები და შედეგები, ასევე, ავტორიზაციის ყველა სტანდარტთან მიმართებით საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი გარემოებები. მას შემდეგ, რაც სსიპ-განათლების განვითარების ეროვნულ ცენტრში შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტიდან მიღებულ იქნა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ დაწესებულებას არ აქვს დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიცია, ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა დასკვნა.</td></tr>
<tr><td colspan="2">მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☒ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: 2020 წლის 2-4 დეკემბერი (№320271 გადაწყვეტილება, 02/04/2021)

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: _____</td></tr>
<tr><td>უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):</td><td>აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:</td></tr>
<tr><td>სტანდარტი 1.
1. უნივერსიტეტმა უარი უნდა თქვას სადოქტორო პროგრამების განხორციელების ამბიციაზე. მიუხედავად იმისა, რომ იგი კარგი სასწავლო უნივერსიტეტია, ძალზე ნაადრევია ასეთი ნაბიჯის გადადგმა (ძირითადი რეკომენდაცია).</td><td>არ არის შესრულებული
თუმცა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს მინიჭებული აქვს სადოქტორო პროგრამების განხორციელების უფლება და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ახორციელებს აკრედიტებულ სამ სადოქტორო პროგრამას (სამართალი, თეოლოგია და საჯარო მმართველობა).</td></tr>
</table>

2. არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მისიის განაცხადი ასახავდეს რეალობას. საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტის ამბიცია, აწარმოებდეს მაღალი დონის კვლევით საქმიანობას, არშეესაბამება მაღალი რეიტინგის მქონე პუბლიკაციებში გამოქვეყნებების ფაქტობრივ მაჩვენებელს.	**შესრულებულია.** გაზრდილია კვლევითი საქმიანობის მაჩვენებლები, თუმცა მისიასთან მიმართებით, სასურველია მეტი გამოცდილი მკვლევარის მოზიდვა. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ციტირების მაღალი ინდექსისა და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდის მექანიზმები. მნიშვნელოვნად არა, თუმცა გაზრდილია სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების მაჩვენებელი, მათ შორის, გაზრდილია Scopus-ში და Google Scholar-ში გამოქვეყნების H ინდექსები.
3. საჭიროა უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის შესახებ ცნობიერების ამაღლება, განსაკუთრებით სტუდენტებში, რომლებიც არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას.	**შესრულებულია.** სტუდენტები ფლობენ სათანადო ინფორმაციას უნივერსიტეტის მისიის და ხედვის შესახებ.
სტანდარტი 2. 4. დამატებითი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით საკუთარ მიზნებს მიაღწიოს.	**შესრულებულია.** უნივერსიტეტი ყოველწლიურად ზრდის პარტნიორი უნივერსიტეტების რიცხვს, 23 ახალი მემორანდუმი გაფორმდა 2021 წლის აპრილის შემდეგ, 6 ახალი მემორანდუმი 2022 წლის ოქტომბრის შემდეგ. ასევე, დაფინანსდა 9 ახალი Erasmus+ KA171 ICM პროექტი. შედეგად, უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებსა და საზაფხულო სკოლებში. დაწესებულება პარალელურად პარტნიორ უნივერსიტეტებთან გეგმავს და ახორციელებს საერთაშორისო პროექტებს. უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა სხვადასხვა აქტივობების გასახორციელებლად (მივლინებები, უცხოელი პროფესორების/ტრენერების მასპინძლობა). უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი აქვეყნებს ერთობლივ სტატიებს და მუშაობს კვლევებზე უცხოელ კოლეგებთან ერთად წლების განმავლობაში.
5. ორგანიზაციული სტრუქტურა საჭიროებს რეფორმას, მიზნების უკეთ განხორციელებისთვის. ეს მოიცავს პერსონალის ფუნქციების დუბლირების პრევენციას.	**შესრულებულია.** 2021-2022 წლის განმავლობაში განახლდა უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურა და ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული პროცესების შედეგად, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობა ნათლად არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული. სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს.
6. უნივერსიტეტის გარე დაინტერესებული მხარეების (როგორიცაა მაგ., კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართულობა უფრო სისტემატიური და შინაარსიანი უნდა იყოს, მით უმეტეს იქ, სადაც აკადემიური პროგრამის შეფასების პროცესს ეხება საქმე.	**შესრულებულია.** უნივერსიტეტი გარე დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური კომუნიკაციის მიზნით წელიწადში ერთხელ (აკადემიური წლის დასასრულს) თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ახორციელებს პროგრამის კურსდამთავრებულისა და შესაბამისი სამიზნე დამსაქმებელთა გამოკითხვას. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებელთა შერჩევა გამოკითხვის მიზნებისთვის ხდება არა ავტომატურად, არამედ უშუალოდ უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების კურსდამთავრებულთა რეალური დასაქმების არეალის გათვალისწინებით. მათგან მიღებული მონაცემები უზრუნველყოფს

	გარე დაინტერესებული მხარეების ეფექტურ შეფასებას, რასაც უნივერსიტეტი წარმატებით იყენებს პროგრამების გაუმჯობესების პროცესში. მაგ., უნივერსიტეტმა მთელ რიგ პროგრამებში (სამართლის საბაკალავარო და სამაგისტრო, თეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და ა.შ.) თემატური ცვლილებები შეიტანა სწორედ დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მხრიდან მიღებული უკუკავშირის შესაბამისად, რა თქმა უნდა, შესაბამისი ორგანოების მიერ მათი დეტალური და საფუძვლიანი განხილვის შედეგად. შეფასების შედეგები გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.
7. უნდა დაინერგოს პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამა და საბაუნის მიერ მისი მოხმარება შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, როგორც ბარიერი (პროცენტი) და მისი გამოთვლის მეთოდი, ასევე პუბლიკაციებიც, რომელთა შესამოწმებლადაც გამოიყენება ის და მონაცემების დაცვის საკითხები, მას შემდეგ, რაც ის რეალურად დაინერგება და ამუშავდება.	**შესრულებულია.** უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების წესი. აღნიშნული წესი ვრცელდება უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებზე, ასევე ნებისმიერ პირზე რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის ეგიდით ჩატარებულ სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში ან აქვეყნებს ნაშრომს უნივერსიტეტის გამოცემაში. უნივერსიტეტი სარგებლობს ანტიპლაგიატის საერთაშორისო პლატფორმით - StrikePlagiarism.com პროგრამას აქვს საერთაშორისო დონის პროტოკოლი და პარამეტრი, ასევე ნაშრომთა დაცვისა და პირადი მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მაღალი დონის სისტემა. აღნიშნული მოცემულია პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების წესში (დამტკიცებულია რექტორის 2023 წლის 29 მარტის N80-23 ბრძანებით), კერძოდ, შესაბამისი წესით დამოწმებული პირდაპირი ციტირების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი ნაშრომის 10%-ს. დაუმოწმებელი ტექსტის არსებობა ნაშრომში არ დაიშვება (0%). ნაშრომში სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ტექსტის გამოყენების მოცულობა, შესაბამისი დამოწმებით, არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი ნაშრომის 20%-ს. ამ სტანდარტის დარღვევით შესრულებული ნაშრომი მიიჩნევა პლაგიატად. აღნიშნული ნორმა ზედმიწევნით განსაზღვრავს არა მხოლოდ ზოგად პროცენტულ მაჩვენებლებს, არამედ ნორმატიული აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების გამოყენების სტანდარტსაც. კვლევის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირებულობის ამაღლებაზე კვლევის ეთიკის მიმართულებით, რის გამოც უნივერსიტეტში იმართება საორიენტაციო შეხვედრები, აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ტრენინგები და ზემოთ აღნიშნული ყველა წესი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
8. მართალია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის არსებობა თავისთავად საკმარისია, პერსონალმა და სტუდენტებმაც უნდა მოაწერონ მასზე ხელი უნივერსიტეტში მისვლის პირველივე დღეს, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.	**შესრულებულია.** სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტს პერსონალისა და სტუდენტებისათვის ცალ-ცალკე აქვს შემუშავებული ორი დოკუმენტი („სტუდენტთა ქცევის კოდექსი“ და უნივერსიტეტის „შინაგანაწესი“), რომლებშიც გაწერილია ეთიკისა და ქცევის წესები, წესების დარღვევაზე რეაგირების პროცედურები, დისციპლინური კომისიის შემადგენლობა და სხვა. ორივე დოკუმენტში ცვლილებები შევიდა 2021 წელს, რაც განპირობებული იყო უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო საფეხურის დამატებითა და უნივერსიტეტის სახელის ცვლილებით. „სტუდენტთა ქცევის კოდექსი“ და უნივერსიტეტის „შინაგანაწესი“ არის სტუდენტთა და პერსონალთან დადებული ხელშეკრულების

	შემადგენელი ნაწილი, რომლებსაც უნივერსიტეტის სტუდენტები და პერსონალი ეცნობიან ხელშეკრულების ხელმოწერამდე და ხელშეკრულების ხელმოწერით ადასტურებენ მათ გაცნობას (სტუდენტების განათლების მომსახურების ხელშეკრულებები (1-ლი და მე-5 პუნქტების დათქმები); მოწვეული პერსონალის ხელშეკრულება (მე-12 პუნქტის დათქმა); აკადემიური პერსონალის (13-ე პუნქტის დათქმა), ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი (მე-14 მუხლის დათქმა). ხელშეკრულებაში არსებული დათქმის მიხედვით, რამდენადაც აღნიშნული დოკუმენტები ხელშეკრულების ერთიანი განუყოფელი ნაწილია, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ნიშნავს უნივერსიტეტში მოქმედ დოკუმენტებზე ხელმოწერას.
9.უცხოელი სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულნი სტუდენტურ თვითმმართველობაში.	**შესრულებულია.** უცხოელი სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ აკადემიურ და სოციალურ ღონისძიებებში. უნივერსიტეტს შესაბამის მარეგულირებელ აქტ(ებ)ში დეკლარირებული აქვს აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვა; ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დასტურდება რომ უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები იცნობს და იზიარებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტი 3. 10. არსებითად უნდა გაუმჯობესდეს ინგლისური ენის ტესტები.	**შესრულებულია** სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ გაწეული რეკომენდაცია და მოახდინა ტესტის მოდიფიცირება. უნივერსიტეტის პერსონალი ადასტურებს, რომ ტესტებში ცვლილებების შეტანა ხდება ყოველწლიურად. ტესტები მუშავდება, რათა მაქსიმალურად შეესაბამებოდეს CEFR-ის (Common European Framework of Reference for Languages) დონეს.
11. უნივერსიტეტმა უნდა შესთავაზოს ალტერნატიული ვარიანტები იმ სტუდენტებს, რომელთაც აქვთ დამაკმაყოფილებელი შედეგები, მაგრამ არ აქვთ საკმარისი ECTS კრედიტები საბაკალავრო პროგრამებში.	**შესრულებულია** უნივერსიტეტში მოქმედებს ერთიანი 100- ქულიანი შეფასება, ხოლო თითოეულ საგანში გამსვლელი არის 51 ქულა.
12. უნდა მოხდეს მონაცემთა შეგროვების ალტერნატიული მექანიზმებისა და კითხვარების გამოყენება.	**შესრულებულია** შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისას, შემუშავებისას, განხორციელებისას და განვითარებისას მუდმივად ახორციელებს მონაცემთა შეგროვებას.
13. განმარტებულ უნდა იქნას უცხოენოვანი კურსების „ნაწილობრივ“ დასრულებასთან და გამონაკლისებთან დაკავშირებული მოთხოვნები.	**შესრულებულია** კურსის „ნაწილობრივ“ დასრულების ალტერნატივა არ აღინიშნება არც ერთ სასწავო კურსში.
14. აკადემიური სასწავლო გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ონლაინში განთავსებულ სასწავლო გეგმას.	**შესრულებულია** დაწესებულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მისია, ხედვა, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა, სტატისტიკა, პროგრამების კატალოგი და სხვა) განთავსებულია უმაღლესი დაწესებულების ვებ-გვერდზე და შეესაბამება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ

	დოკუმენტაციას. ასევე, უნივერსიტეტს საკუთარ ვებ-გვერდზე ასახული აქვს პროგრამასთან დაკავშირებული მონაცემები (სპეციალობა, სწავლის ხანგრძლივობა, სწავლის ენა და პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები, სწავლის საფასური და ა.შ.) განთავსებული ინფორმაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.
15. იმ შემთხვევაში, თუ სადოქტორო სასწავლო პროგრამების განხორციელება მაინც გადაწყდება (თუმცა, ასე არ უნდა მოხდეს), მაშინ ისინი უფრო დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს.	**შესრულებულია** სულხან-საბა ორბელიანის სადოქტორო პროგრამების განხორციელების უფლება მინიჭებულია ავტორიზაციის საბჭოს მიერ. აგრეთვე, სამმა სადოქტორო პროგრამამ (სამართალი, საჯარო მმართველობა, თეოლოგია) გაიარა აკრედიტაციის პროცესი და აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიენიჭა პროგრამების განხორციელების უფლება.
16. გამოცდები უნდა იყოს ანონიმური.	**არ არის შესრულებული,** თუმცა საგამოცდო პროცესი ტარდება სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობასთან, მათ შორის „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დებულების შესაბამისად. საგამოცდო პროცესის ადმინისტრირება და შეფასება ხორციელდება ეფექტურად, ობიექტურად და სამართლიანად. დაწესებულებას აქვს ჩამოყალიბებული შედეგების გასაჩივრების წესი, სადაც საფეხურეობრივად გაწერილია შესაბამისი პროცედურები, რომელთა მიხედვითაც, პერიოდული გამოკითხვებისა თუ გამოცდების შედეგების უკმაყოფილების არსებობის შემთხვევაში.
17. სამაგისტრო ნაშრომებში მეთოდოლოგიის ნაწილი უნდა იყოს სავალდებულო.	**შესრულებულია** სამაგისტრო პროგრამებს წარმატებით აქვთ განვლილი აკრედიტაციის პროცესი, რომლის დროსაც მოწმდება უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომების ხარისხი.
სტანდარტი 4. 18. პერსონალის საქმიანობის შეფასება საჭიროებს გაუმჯობესებას.	**შესრულებულია** დაწესებულებამ განაახლა პერსონალის შეფასების წესი, კერძოდ: გაიზარდა კვლევითი საქმინობის შესაფასებლად განკუთვნილი ქულების წილი პერსონალის საერთო შეფასებაში.
19.აღმოიფხვრას პერსონალის კომპეტენციებისა და როლების გადაკვეთა.	**შესრულებულია** დაწესებულების მხრიდან განახლდა ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები. ცვლილებები შევიდა “ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში”. განხორციელდა ორგანიზაციული სახელმძღვანელოს განახლება, შეიცვალა უნივერსიტეტის სტრუქტურა და შესაბამისად, განახლდა თითოეული პოზიციის სამუშაო აღწერილობა. დაზუსტდა და ერთმანეთისგან გაიმიჯნა აკადემიური განვითარებისა და კვლევის მენეჯერისა და ხარისხის მართვის სამსახურის თანამშრომელთა ფუნქციები და როლები.
20. შემუშავდეს გეგმა, სადაც მოცემული იქნება მოთხოვნები და წახალისების ფორმები თანამშრომლების მიერ ნაშრომების გამოსაქვეყნებლად მაღალი რეიტინგის მქონე	**შესრულებულია** უნივერსიტეტში დაწესებულია აკადემიური პერსონალის წლიური სამეცნიერო დატვირთვის შესრულებისათვის ერთჯერადი ფულადი პრემია. ამასთან, აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის გათვალისწინებულია ერთჯერადი ფულადი პრემია scopus-ში ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებისთვის. ასევე,

საერთაშორისო ჟურნალებში და არა ადგილობრივ, შიდაგამოცემებში.	აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებისას (შეფასების მაქსიმალური ქულა 100 ქ.) მაღლრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნება შეფასებულია უფრო მაღალი ქულებით, ვიდრე ადგილობრივ ჟურნალებში პუბლიკაციები.
21. შეიქმნას თანამშრომლების პროფესიული რეზიუმეების განახლებული მონაცემთა ბაზა.	**შესრულებულია** დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს აქვს პერსონალის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული პროფესიული რეზიუმეები, რომელთა ბოლო განახლება მოხდა 2023 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. გრძელდება მუშაობა ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული პროცესების გაციფრულების მიმართულებით.
22. შემუშავდეს სამომავლო განვითარების ღონისძიებებში შეფასების შედეგების გამოყენების მკაფიო მექანიზმი	**შესრულებულია** დაწესებულებაში აქვს სამომავლო განვითარების ღონისძიებებში შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმი მოიცავს: პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო საქმინობის შეფასებას დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემის მეშვეობით, შეფასების შედეგების ანალიზსა და განხილვას, შედეგების საფუძველზე სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვას ინდივიდუალურად ცალკეული პერსონალისთვის. დაწესებულების შესაბამისი სამსახური პროფესორებთან ერთად გეგმავს განვითარებაზე ორიენტირებულ ინდივიდუალურ ღონისძიებებს თითოეული პედაგოგისთვის. იმ შემთხვევაში კი, როცა პერსონალმა გადაჭარბებით შეასრულა სამეცნიერო დატვირთვა, მათთვის გათვალისწინებულია წახალისებები.
23. გაიზარდოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დაფინანსება.	**შესრულებულია** დაწესებულებაში პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგები, რომლებიც მიმართული იყო მათი ცოდნისა და უნარების განვითარებაზე. ამასთან, დაწესებულებაში 2021-2022 და 2022-2023 წწ.-ში წინა წელთან შედარებით გაზრდილია აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო კვლევევის დაფინანსება, კვლევების შედეგების გამოქვეყნების დაფინანსებაც. გაზრდილია სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, საჯარო ლექციების, სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობების ხარჯები, მიზნობრივ გრანტებთან და პროექტებთან დაკავშირებული ხარჯები.
24. საჭიროა შემუშვდეს მკაფიო მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს აკადემიურ პროგრამებში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობას. ამასთან, ეს მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებდეს საუკეთესო პრაქტიკას და აკადემიური პერსონალის აფილირებას. უზრუნველყოფილი უნდა იქნას მისი (მეთოდოლოგიის) დანერგვა ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად სასწავლო დატვირთვა	**შესრულებულია** განახლდა პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. დაწესებულებას უნდა ჰყავდეს საგანმანათლებლო პროგრამის ყოველ 50 სტუდენტზე 3 აკადემიური პერსონალი, 50 სტუდენტზე სულ მცირე 1 აფილირებული პერსონალი მაინც. დაწესებულებაში ამჟამად მოქმედ 18-ივე საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობის მაჩვენებელი ბევრად უფრო უკეთესია, ვიდრე დაწესებული მინიმალური მოთხოვნები. 2020 წელს ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, 2020 წელს სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებდა 13 საგანმანათლებლო პროგრამას 107 აკადემიური პერსონალით, რომელთაგან აღნიშნულ უნივერსიტეტთან აფილირებული იყო მხოლოდ 33. ამჟამად დაწესებულებას ჰყავს 125 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან

მეტნაკლებად ნორმალურია, ეს უფრო შემთხვევითობაა, ვიდრე წინასწარ შემუშავებული გეგმის ნაწილი.	აფილირებულია 68. პერსონალის ეს რაოდენობა ემსახურება 18 საგანმანათლებლო პროგრამის 1174 სტუდენტს.
სტანდარტი 6. 25. განხორციელდეს მეტი ტრენინგი/საინფორმაციო შეხვედრა, რათა გაიზარდოს შესაბამისი აქტორების ცნობიერება კვლევის დაგეგმვის უწყვეტი ჯაჭვის, შეფასების პროცესებისა და ხელმისაწვდომი ინსტიტუციონალური მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ.	**შესრულებულია** დაწესებულებაში ტარდება ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები დაწესებულების მხრიდან პერსონალისთვის შექმნილი პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ, მათ შორის საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისა და სხვადასხვა საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ. ამ მიზნით დაწესებულებაში მოქმედებს პროფესიული განვითარების ცენტრი.
26. გაიზარდოს აფილირებული პერსონალის რაოდენობა და საერთაშორისო გამოცემებში მათი პუბლიკაციების რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამეცნიერო საქმიანობის მაღალი რეპუტაცია.	**შესრულებულია** დაწესებულებაში გაზრდილია აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა. 2020 წელს დაწესებულებას ჰყავდა 107 აკადემიური (აქედან 33 აფილირებული) პერსონალი. ამჟამად, დაწესებულებას ჰყავს 68 აფილირებული პერსონალი (სულ აკადემიური პერსონალი-125). გაიზარდა აკადემიური პერსონალის მიერ საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობაც (მათ შორისაა რამდენიმე პუბლიკაცია Scopus-ში): საანგარიშო პერიოდში დაწესებულების აკადემიურმა პერსონალმა საერთაშორისო გამოცემებში გამოაქვეყნა 70-მდე პუბლიკაცია.
27. უნივერსიტეტის პუბლიკაციებისთვის/პერიოდული გამოცემებისთვის ჩამოყალიბდეს სარედაქციო საბჭოები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის „ბრმა“ განხილვას გარეექსპერტების ჩართვით (ადგილობრივი და საერთაშორისო აკადემიური კოლეგები/ექსპერტები), დაწესებულების პუბლიკაციების ხარისხის შესამოწმებლად.	**შესრულებულია** უნივერსიტეტში არსებული კვლევითი ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების ბაზაზე გამოიცემა 5 სამეცნიერო ჟურნალი, რომელთაგან 3 გამოიცემა უცხოურ ენებზეც (https://www.sabauni.edu.ge/ka/content/kvleva/gamomcemloba/gamocemebi/jurnalebi). ყველა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას ჰყავს უცხოელი წევრები. დაწესებულებამ წარმოადგინა გამოსაქვეყნებელ პუბლიკაციებზე უცხოელი შემფასებლების მიერ გაკეთებული რეცენზიის ნიმუშები.
28. განმტკიცდეს თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან.	**შესრულებულია** დაწესებულებას დადებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები ადგილობრივ და უცხოურ ეკონომიკურ აგენტებთან (54 მემორანდუმი), ასევე პრაქტიკის კვლევით სამეცნიერო ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები (113 ხელშეკრულება). ექსპერტების მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა 2 ახალი საერთაშორისო მემორანდუმი.
29. შემუშავდეს მექანიზმები იმის უზრუნველსაყოფად, რომ კვლევები, ასევე, ფოკუსირებული იქნება რეგიონულ და საერთაშორისო კონტექსტზე.	**შესრულებულია** უნივერსიტეტში შემუშავებულია მექნიზმები და დაწესებულია წახალისებები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოსაქვაყნებლად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საანგარიშო პერიოდში პუბლიკაციების თემატიკა, დაწესებულების მიერ

	განსაზღვრული კვლევითი პრიორიტეტები უზრუნველყოფენ იმას, რომ კვლევები ფოკუსირებულია არა მხოლოდ ადგილობრივ პრობლემატიკაზე, არამედ რეგიონულ და საერთაშორისო კონტექსტზეც.
30. განხორციელდეს სტუდენტების მხარდაჭერა და წახალისება, ადგილობრივ და საერთშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით.	**შესრულებულია** დაწესებულებას აქვს მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმები სტედენტების წასახალისებლად, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში. ერთ-ერთი ასეთია სტიპენდია. ამასთან, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტის კვლევის შედეგების გამოქვეყნებას ახდენს უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ღონისძიებებზე არის სავალდებულო სტუდენტური/ახალგაზრდა მკვლევარების პანელები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ წარადგინონ მოხსენებები, გამოიცემა საუკეთესო სამაგისტრო ნაშრომები პუბლიკაციების სახით. დაწესებულებაში გამოიცემა სტუდენტების ჟურნალი, სტუდენტებს სთავაზობენ ლექტორებთან ერთად გააკეთონ ერთობლივი კვლევები და თარგმანები, რომლებიც გამოიცემა დაწესებულების მიერ.
31. შეიქმნას საერთაშორისო პროქტების, სემინარებისა და კონფერენციების მეტი შესაძლებლობა.	**შესრულებულია** დაწესებულებაში ტარდება ყოველწლიური მუდმივმოქმედი საერთაშორისო თემატური კონფერენციები. 2023 წელს ჩატარებულია ექვსი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენია, 2022 წელს-სამი, ხოლო 2020- ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (https://www.sabauni.edu.ge/ka/content/kvleva/saertashoriso-konferenciebi). 2023 წელს უკვე დასრულებულია ხუთი კვლევითი პროექტი (https://www.sabauni.edu.ge/ka/content/kvleva/kvleviti-proeqtebi/dasrulebuli-kvleviti-proeqtebi).
32. შემუშავდეს ციტირების მაღალი ინდექსისა და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდის მექანიზმები.	**შესრულებულია** უნივერსიტეტში შემუშავებულია მექანიზმები და დაწესებულია წახალისებები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოსაქვეყნებლად. ამასთან, პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შესაფასებლად გაითვალისწინება ციტირების მაღალი ინდექსისა და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობა და პერსონალის ციტირების ინდექსები.
33. განვითარდეს და დაინერგოს უფრო ეფექტური მექანიზმები, სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის მიზნით.	**შესრულებულია** უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ღონისძიებებზე არის სავალდებულო სტუდენტური/ახალგაზრდა მკვლევარების პანელები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ წარადგინონ მოხსენებები, გამოიცემა საუკეთესო სამაგისტრო ნაშრომები პუბლიკაციების სახით. დაწესებულებაში გამოიცემა სტუდენტების ჟურნალი, სტუდენტებს სთავაზობენ ლექტორებთან ერთად გააკეთონ ერთობლივი კვლევები და თარგმანები, რომლებიც გამოიცემა დაწესებულების მიერ. დაწესებულებაში ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტური თემატური კონფერენციები, რომელთა მასალების კრებული გამოიცემა დაწესებულების მიერ.
34. გაძლიერდეს თანამშრომლობა ევროპულ უნივერსიტეტებთან, განსაკუთრებით ერთობლივი კვლევების მიმართულებით.	**შესრულებულია** დაწესებულება თანამშრომლობს არაერთ ევროპულ უნივერსიტეტთან, გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები და დაწესებულების აკადემიური პერსონალი, ასევე, სტუდენტები ჩართული არიან ერთობლივ კვლევით პროექტებში. ამჟამად

	დაწესებულების პერსონალი ჩართულია მიმდინარე 10 კვლევით პროექტში, მათ შორის ევროპულ უნივერსიტეტებთან ერთობლივ გრანტებით დაფინანსებულ პროექტებში (https://www.sabauni.edu.ge/ka/content/kvleva/kvleviti-proeqtebi).
35. გაძლიერდეს თანამშრომლობა საერთაშორისო საგანმანათლებლო/კვლევით ფონდებთან.	**შესრულებულია** ამჟამად დაწესებულების აკადემიური პერსონალი ჩართულია მიმდინარე 10 კვლევით პროექტში, მათ შორის საერთაშორისო საგანმანათლებლო/კვლევით ფონდების გრანტებით დაფინანსებულ პროექტებში. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობს რუსთაველის ფონდისა და DAAD-ის ერთობლივ კვლევით სტიპენდიებში, USAID-ის, KAAD-ის, IRZ-ისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე პოლონეთისა და სლოვაკეთის სახელმწიფო კვლევით კონკურსებსა და საგრანტო პროექტებში. მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობაა ნოტრ დამის უნივერსიტეტი (ინდიანა, აშშ) ნანოვიკის ინსტიტუტთან.
36. საუნივერსიტეტო და ფინანსების მოსაპოვებლად წარდგენილი კვლევითი განაცხადებისთვის განიმარტოს შეფასების კრიტერიუმები.	**შესრულებულია** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად წარდგენილი კვლევითი განაცხადის შესაფასებლად კრიტერიუმები, რომელიც გაწერილია სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასების და ხელშეწყობის წესში.
37. გააძლიერდეს კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის გარედაფინანსების მოსაპოვებელი მხარდაჭერის მექანიზმები.	**შესრულებულია** პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასებისას გარე დაფინანსებით მიღებული კვლევითი პროექტების შემთხვევაში აკადემიურ პერსონალს ეწერება მაღალი ქულები. გარე დაფინანსებისთვის მოპოვების მცდელობაც კი წახალისებულია დაწესებულების მიერ, კერძოდ: აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო საქმიანობის შეფასებისას ქულები ეწერება არა მხოლოდ გამარჯვების/გრანტის მიღების შემთხვევაში, არამედ საგრანტო პროექტრის წარდგენის შემთხვევაშიც კი. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და მკვლევრების ინფორმირებულობასა. დაინტერესებულ პირებს უტარდებათ ინდივიდუალური კონსულტაციები. უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს კვლევითი საქმიანობის განმავითარებელ ღონისძიებებს, ტრენინგებს კვლევითი პროექტის წერის, საგრანტო პროექტის მართვის, სამეცნიერო წყაროების მოძიების, აკადემიური ონლაინპლატფორმების შესახებ.
38. შემუშავდეს დასაქმების უფრო მკაფიო პოლიტიკა, მაღალკვალიფიციური მკვლევარების მოზიდვის და გაიზარდოს მათი ჩართულობა სამეცნიერო საქმიანობაში მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით	**შესრულებულია** დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც განახლებულია 2022 წლის სექტემბერში. აკადემიური პერსონალის მოზიდვის საშუალებას წარმოადგენ მხოლოდ გარე რეკრუტირება. მაღალკვალიფიციური მკვლევარების მოზიდვის და მათი სამეციერო კვლევაში ჩართულობის გაზრდის მიზნით დაწესებულება აცხადებს კონკურსებს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. კონკურსები ძირითადად ცხადდება აფილირებით. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების სქემაში გაიზარდა სამეცნიერო საქმიანობისთვის მინიჭებული ქულების ხვედრითი წელი. დაწესებულებას აქვს სამეცნიერო საქმიანობაში პერსონალის ჩართულობის წახალისების (მათ შორის ფინანსური) მექანიზმები.
39. განხორციელდეს ერთობლივ საერთაშორისო პროექტებში და საერთაშორისო კვლევითი გრანტების მოპოვებაში აფილირებული აკადემიური	**შესრულებულია** დღეისათვის უნივერსიტეტი სხვადასხვა პროექტის ფარგლებში (გაცვლითი პროგრამა, ერთობლივი პროექტი, Erasmus+ ICM, Erasmus+ KA2) 21 ქვეყნის 50 უნივერსიტეტთან თანამშრომლობს. დაარსების

პერსონალის ჩართულობის წახალისება, გაიზარდოს საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობა აღიარებულ სამეცნიერო ჟურნალებში. მოხდეს უცხოელი პარტნიორების მოწვევა ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაციების შექმნის პროცესში.	დღიდან აქტიურად თანამშრომლობს უცხოურ უნივერსიტეტებსა და პროფესორებთან, საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმების, საჯარო ლექციების თუ სემინარების სახით. უნივერსიტეტში შემუშავებულია მექნიზმები და დაწესებულია წახალისებები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოსაქვაყნებლად. დაწესებულებაში ტარდება ყოველწლიური მუდმივმოქმედი საერთაშორისო თემატური კონფერენციები. უნივერსიტეტში შემუშავებულია მექანიზმები და დაწესებულია წახალისებები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოსაქვეყნებლად. ამასთან, პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შესაფასებლად გაითვალისწინება ციტირების მაღალი ინდექსისა და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობა და პერსონალის ციტირების ინდექსები. ამჟამად დაწესებულების პერსონალი ჩართულია მიმდინარე 10 კვლევით პროექტში, მათ შორის ევროპულ უნივერსიტეტებთან ერთობლივ გრანტებით დაფინანსებულ პროექტებში. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობს რუსთაველის ფონდისა და DAAD-ის ერთობლივ კვლევით სტიპენდიებში, USAID-ის, KAAD-ის, IRZ-ისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე პოლონეთისა და სლოვაკეთის სახელმწიფო კვლევით კონკურსებსა და საგრანტო პროექტებში. მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობაა ნოტრ დამის უნივერსიტეტი (ინდიანა, აშშ) ნანოვიკის ინსტიტუტთან.
40. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების ინიცირება განხორციელდეს თანა-ხელმძღვანელობის სქემით, რათა გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობისა და კვლევითი ნაშრომების ხარისხი.	**მეტწილად შესრულებულია** მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე, რათა ის გახდეს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა, მიღებულია პრინციპული თანხმობა პარტნიორი დაწესებულებიდან. ამასთან, დაწესებულება გეგმავს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ერთობლივი პროგრამის შექმნას. მოცემულ ეტაპზე ეს პროცესები ჯერ-ჯერობით დასრულებული არ არის.
41. გაძლიერდეს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები და მათთან აფილირებული აკადემიური პერსონალის ცნობიერება შეფასების პროცედურებთან, ღირებულებებთან/ეფექტურობასთან და შედეგებთან დაკავშირებით.	**შესრულებულია.** კვლევითი ერთეულები გაძლიერებულია. აკადემიური პერსონალი აკეთებს შეფასებებს გამოკითხვებში მონაწილეობის გზით, ასევე წარადგენს ყოველწლიურ ანგარიშს.
სტანდარტი 7. 42. საევაკუაციო გასასვლელი კარი არ უნდა იყოს დამზადებული რკინისგან, უსდ-მ ეს უნდა შეცვალოს; გარდაამისა, იგი შიგნიდან გარეთ უნდა იღებოდეს.	**შესრულებულია.** საევაკუაციო გასასვლელი რკინის კარი შეცვლილია მეტაპლასტმასის კარისაგან, რომელიც იღება შიგნიდან გარეთ.
43. არქივისთვის განკუთვნილი სივრცე საკმარისი არ არის, უსდ-მ იგი უნდა გააფართოვოს. აღნიშნული სივრცე უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ	**შესრულებულია.** არქივი და სასაწყობო სივრცეები ერთმანეთისგან დამოუკიდებლადაა.

საარქივო მიზნებისთვის და არა როგორც ზოგადი სასაწყობე ოთახი.	
44. სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე დასკვნა და რეკომენდაციები უნდა გაიცეს უფლებამოსილი სააგენტოს მიერ.	**შესრულებულია.** სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა გაცემულია საგანგებო სიტაუციების სამსახურის მიერ და პოზიტიურია.
45. დაქირავებულ იქნას შესაბამისი სამუშაო გამოცდილების მქონე ბიბლიოთეკარი.	**შესრულებულია.** ბიბლიოთეკაში დასაქმებული ბიბლიოთეკარების კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მიერ ამ პოზიციისთვის დადგენილ, წაყენებულ მოთხოვნებსა და სტანდარტს.
46. ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის შემუშავებასა და განხილვაში ჩართულ იქნას ყველა დაინტერესებული მხარე.	**შესრულებულია.** ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის შემუშავებაში, განხილვასა და განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.
47. დაწესებულებამ უნდა გაზარდოს კვლევების ბიუჯეტი.	**შესრულებულია.** სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების დაფინანსება მზარდია ბოლო 5 წლის განმავლობაში. ასევე უნივერსიტეტმა წარმოადგინა დეტალური ასიგნება სამეცნიერო-კვლევით აქტივობებისთვის გამოყოფილი და დახარჯული თანხებისა, პერსონალის კომფერენციებში მონაწილების, სამეცნიერო კვლევების დაფინანსების, გრანტებთან და პროექტებთან დაკავშირებული ხარჯები, სამეცნიერო მივლინების და სხვა.
48. სასურველია მეტი გამჭვირვალობა ბიუჯეტის დაგეგმვის კუთხით, კერძოდ, ინტერნაციონალიზაციასა და ადმინისტრაციას შორის გადაკვეთასთან დაკავშირებით.	**შესრულებულია.** უნივერსიტეტში დანერგილია და ფუნქციონირებს მენეჯერული ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა, რომლითაც უზრუნველყოფილია დაწესებულების მიზნების მიღწევისას რესურსების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიური და ეფექტიანი გამოყენება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების ინიცირება განხორციელდეს თანა-ხელმძღვანელობის სქემით.

რჩევები

- სასურველია, მეტი გამოცდილი მკვლევარი შემოუერთდეს საუნივერსიტეტო გუნდს;
- კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში, შიდა მექანიზმების შემუშავებაში;
- ფოკუს ჯგუფების ჩატარება;
- სასურველია უნივერსიტმა კონკურსის წესით აირჩიოს სტუდენტთა ომბუდსმენი, რომელიც მოახდენს სტუდენტთა კონსულტირებას, მხარდამჭერას, სტუდენტების ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და მათი დარღვევის ფაქტების შესწავლას;

- სასურველია უნივერსიტეტმა დაგეგმოს და განახორციელოს დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საინფორმაციო ღონისძიებები და ფორუმები.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მითხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მითხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მითხოვნებთან	არ შეესაბამება მითხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ია მოსაშვილი (თავმჯდომარე)
2. ილია ბოცვაძე (წევრი)
3. ნინო ზარნაძე (წევრი)
4. ია ნაცვლიშვილი (წევრი)
5. დავით კაკიაშვილი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაციებია:** 1.1.1. უნივერსიტეტმა უარი უნდა თქვას სადოქტორო პროგრამების განხორციელების ამბიციაზე. მიუხედავად იმისა, რომ იგი კარგი სასწავლო უნივერსიტეტია, ძალზე ნაადრევია ასეთი ნაბიჯის გადადგმა (ძირითადი რეკომენდაცია). 1.1.2. არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მისიის განაცხადი ასახავდეს რეალობას. საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტის ამბიცია, აწარმოებდეს მაღალი დონის კვლევით საქმიანობას, არშეესაბამება მაღალი რეიტინგის მქონე პუბლიკაციებში გამოქვეყნებების ფაქტობრივ მაჩვენებელს. 1.1.3. საჭიროა უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის შესახებ ცნობიერების ამაღლება, განსაკუთრებით სტუდენტებში, რომლებიც არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მისიაში გაჟღერებულია, რომ ისინი მაღალი მოტივაციის ახალგაზრდა და გამოცდილი მკვლევარების, პრაქტიკოსი პროფესიონალების, გამჭვირვალე და გუნდური მმართველობის, სათანადო ინფრასტრუქტურისა და ასევე, მატერიალური თუ არამატერიალური რესურსების გამოყენებით სწავლობენ, ქმნიან და ავრცელებენ ცოდნას ჰუმანიტარულ, სოციალურ და ფუნდამენტური მეცნიერებების სფეროში, რაც აისახება როგორც ტრადიციულ, ისე ინოვაციურ საგანმანათლებლო პროდუქტებში. ისინი უზრუნველყოფენ სასწავლო და კვლევით გარემოს თავისუფალი და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისთვის, რაც იძლევა პიროვნების პოტენციალის მაქსიმალური რეალიზების შესაძლებლობას. ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და კერძო საკუთრების იდეალების ერთგული მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით მონაწილეობენ საზოგადოების გარდაქმნის პროცესში. **რეკომენდაცია 1.1.1** წარმოადგენს **ძირითად რეკომენდაციას** და ამ რეკომენდაციის თანახმად უნივერსიტეტმა არ უნდა განახორციელოს სადოქტორო პროგრამები. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტი საქმიანობას განახორციელებს მისიის შესაბამისად, თუმცა უნივერსტიტეტს ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 2 აპრილის (MES 3 21 0000320271) გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს უნივერსიტეტის სტატუსი, რაც აძლევს სადოქტორო პროგრამების განხორციელების უფლებას.

სწორედ ავტორიზაციის შემდგომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ის ახორციელებს სამართლის, საჯარო მმართველობისა და თეოლოგიის სადოქტორო პროგრამებს აკრედიტაციის რეჟიმში. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია **არ არის შესრულებული**, თუმცა უნივერსიტეტი იყენებს მინიჭებულ უფლებას და ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს. ექსპერტთა ჯგუფს არ გამოუკვეთია ამ ფაქტის საწინააღმდეგო არგუმენტები. მტკიცებულებები და ინტერვიუს შედეგები იძლევა იმის საშუალებას, ითქვას, რომ უნივერსიტეტს აქვს სადოქტორო პროგრამების განხორციელების პოტენციალი.

რეკომენდაცია 1.1.2. -ში ნათქვამია, რომ მისიის განაცხადი ასახავდეს რეალობას. აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის 2022-2023 წლების ანგარიშიდან ჩანს, რომ გამოქვეყნებულია სტატიები როგორც უცხოურ ჟურნალებში, ასევე ქართულშიც, მიღებული აქვთ ევროპული კვლევითი სტიპენდიები და გრანტები, მიღებული აქვთ მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში. პერსონალის ციტირების ინდექსი 2022-2023 წლებში არ არის მაღალი, თუმცა ჩანს Scopus-ში და Google Scholar-ში გამოქვეყნების H ინდექსები. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის 2022-2023 წლის აკადემიური საქმიანობის შეფასების თანახმად, საანგარიშო პერიოდში გაზრდილია სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების მაჩვენებელი, ასევე გაზრდილია შექმნილი სახელმძღვანელოების რაოდენობა, თუმცა ყველა მათგანი არის მხოლოდ ქართულად გამოცემული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დეტალები იხ. მე-6 სტანდარტის აღწერილობით ნაწილში. წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუს შედეგები იძლევა იმის საშუალებას, ითქვას, რომ უნივერსიტეტში კვლევითი გარემო ვითარდება, თუმცა სასურველია, მეტი გამოცდილი მკვლევარი შემოუერთდეს გუნდს, რაც უნივერსიტეტს მეტი კვლევების განხორციელების საშუალებას მისცემს.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია 1.1.3. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ ისინი იცნობენ უნივერსიტეტის მისიას და ხედვას, ჩართული არიან უნივერსიტეტის მიერ დაორგანიზებულ სხვადასხვა აქტივობებში, ასევე საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მისია;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება MES 3 21 0000320271;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება MES 9 21 0000808177 - შპს სულხან საბა-ორბელიანის უნივერსიტეტის "სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება MES 9 22 0000124355 - შპს სულხან საბა-ორბელიანის უნივერსიტეტის "თეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება MES 2 22 0000781890 - შპს სულხან საბა-ორბელიანის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე;
- პერსონალის ციტირების ინდექსის მონაცემები;
- სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის აკადემიური საქმინაობის შეფასება;
- საერთაშორისო გამოცემებში პუბლიკაციების რაოდენობა;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

- სასურველია, მეტი გამოცდილი მკვლევარი შემოუერთდეს საუნივერსიტეტო გუნდს.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტრატეგიული განვითარების საკითხებზე, ავტორიზაციის დასკვნაში არ არის გაცემული რეკომენდაცია. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა რეკომენდაციების გამო რედაქტირება განიცადა სტრატეგიულმა და სამოქმედო გეგმებმა და როგორც ინტერვიუებიდან იკვეთება, ისინი გაზიარებულია საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

-სტრატეგიული განვითარების გეგმა;
-სამოქმედო გეგმა;
-ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაციებია:

2.1.1. დამატებითი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით საკუთარ მიზნებს მიაღწიოს;

2.1.2. ორგანიზაციული სტრუქტურა საჭიროებს რეფორმას, მიზნების უკეთ განხორციელებისსათვის, ეს მოიცავს პერსონალის ფუნქციების დუბლირების პრევენციას.

სულხამ-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებასა და უნივერსიტეტის მიზნების მიღწევას. განახლებულ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის პროცესში განახლდა თანამდებობრივი ინსტრუქციები და სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რამაც ნათელი წარმოდგენა შექმნა სტრატეგიის განხორციელების პროცესში, თითოეული სტრუქტურული ერთეულის როლზე და მის მონაწილეობაზე. აღნიშნული ღონისძიებების გატარების შემდგომ უნივერსიტეტში შეიქმნა მოქნილი, ნაკლებად ბიუროკრატიული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მიზნების ეფექტიან განხორციელებას. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაცემული **რეკომენდაცია:** ორგანიზაციული სტრუქტურა საჭიროებს რეფორმას, მიზნების უკეთ განხორციელებისსათვის, ეს მოიცავს პერსონალის ფუნქციების დუბლირების პრევენციას;

რეკომენდაცია შესრულებულია: უნივერსიტეტმა დაიქირავა საკონსულტაციო კომპანია, რომელმაც არსებული ფუნქციების გაანალიზების და თანამშრომლებთან ინტერვიუების საფუძველზე განაახლა ფუნქცია-მოვალეობები, უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შესაბამისად. აღნიშნული განახლების შემდეგ, უნივერსიტეტში ყოველწლიურად ხდება სამუშაო ანალიზის ჩატარება და სამუშაო ფორმატში თითოეულ სტრუქტურულ ერთეულთან ფუნქციების განხილვა. რაც უზრუნველყოფს მათ მიერ ფუქნციების უკეთ გაგებას და მათ სრულყოფილ შესრულებას.

2021-2022 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურას დაემატა სადოქტორო სკოლა და სადისერტაციო საბჭო, ბიზნესის და ტურიზმის ფაკულტეტს შეეცვალა სახელწოდება და გახდა ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი. გაუქმდა ორგანიაციული და სტრატეგიული განვიათარების სამსახური და დაემატა სტრატეგიული და ორგანიზაციული განვითარების საკითხებში რექტორის მრჩევლის პოზიცია. გაუქმდა სტუდენტურ საქმეთა სამსახური და დარჩა მხოლოდ სტუდენტურ საქმეთა მენეჯერის პოზიცია რომელიც დაექვემდებარა საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურს. გაუქმდა სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორის პოზიცია ხოლო ფუნქციები განაწილდა ფაკულტეტებსა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში. ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი გაიყო და ჩამოყალიბდა თეოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებად. ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით HR მენეჯერის პოზიციას დაემატა HR ჯენერალისტის პოზიცია და აღნიშნული სტრუქტურული ერთეული ჩამოყალიბდა ადამაინური რესურსების მართვის სამსახურად. განახლდა ხარისხის მართვის სამსახურის

სტრუქტურა: გაუქმდა აკადემიური კვლევების შეფასების და ანალიზის მენეჯერის პოზიცია და ფუქნციები განადანწილდა ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტებზე.

აღნიშნული პროცესების შედეგად, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობა ნათლად არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული. სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს.

უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. საქმისწარმოების წესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა; უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოებას.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას, ერთობლივი პროგრამების/პროექტების განხორციელებას, საერთაშორისო კვლევებში ჩართულობას, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ რომ, ამ მიზნით გამოყოფილი რესურსი არ არის საკმარისი, შესაბამისად გაიცა **რეკომენდაცია:** დამატებითი რესურსებია საჭირო, იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით საკუთარ მიზნებს მიაღწიოს.

წარმოდგენილი ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით **რეკომენდაცია შესრულებულია:** უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას ადმინისტრაციული და აკადემიური მიმართულებებით (უცხოენოვანი პროგრამების განვითარება პრიორიტეტულადაა მიჩნეული და სპეციალობების მიხედვით იგეგმება როგორც დამოუკიდებელი უცხოენოვანი სასწავლო, ისე ერთობლივი პროგრამების განვითარება). უნივერსიტეტი ყოველწლიურად ზრდის პარტნიორი უნივერსიტეტების რიცხვს, 23 ახალი მემორანდუმი გაფორმდა 2021 წლის აპრილის შემდეგ, 6 ახალი მემორანდუმი 2022 წლის ოქტომბრის შემდეგ. ასევე, დაფინანსდა 9 ახალი Erasmus+ KA171 ICM პროექტი. შედეგად, უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებსა და საზაფხულო სკოლებში. პროცესშია უნივერსიტეტის გაწევრიანება საერთაშორისო საუნივერსიტეტო ორგანიზაციებში (AMEE) და უნივერსიტეტი მონაწილეობს მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში . გეგმაშია სხვა ევროპულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება. დაწესებულება პარალელურად პარტნიორ უნივერსიტეტებთან გეგმავს და ახორციელებს საერთაშორისო პროექტებს: ECHO აუტიზმის პროექტი ჟეშოვის უნივერსიტეტთან (საპროექტო განაცხადი გაკეთებულია დაფინანსებაზე, მათ შორის ხელშეკრულება შემუშავების პროცესშია ნიუ მექსიკოს ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტთან). შეტანილია განაცხადი ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან პარტნიორობით, ასევე ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით ევროკომისიაში. მალტის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით პროფესორები ჩაერთვნენ ჟან მონეს ქსელში, უნივერსიტეტი მონაწილეობს იოანე-პავლე მეორის ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტის საგრანტო კონკურსი ,,Open Science of Religion Project“ პროექტით: ,,A meta-analytical review of religion and gambling: In search of Mechanism“.

უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა სხვადასხვა აქტივობების გასახორციელებლად (მივლინებები, უცხოელი პროფესორების/ტრენერების მასპინძლობა). მაგ.: მედიცინის ფაკულტეტის პერსონალის ვიზიტი ჟეშოვისა და ლუბლინის უნივერსიტეტებში, გენერალური ასამბლეები (FUCE, AMEE, ELFA), თურქი, ბრიტანელი და ამერიკელი ტრენერების ვიზიტები მედიცინის ფაკულტეტზე პერსონალის გადამზადების მიზნით, ივნისში დაგეგმილი საერთაშორისო კვირეული (კონფერენციები). დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი კვლევების, გაცლვითი პოგრამების (როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ისე სტუდენტების), საზაფხულო და ზამთრის სკოლების, საერთაშორისო სტუდენტური და აკადემიური კონფერენციების მიმართულებით. უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროგრამის ლექტორები ვალენსიის კათოლიკურ

უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მონაწილეობენ COIL-ის პროექტში (Collaborative Online International Learning) , რომელიც გულისხმობს ერთი თვის მანძილზე ქართველი და ესპანელი სტუდენტებისათვის ერთობლივი ლექციების ჩატარებას (ონლაინ ფორმატში). უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი აქვეყნებს ერთობლივ სტატიებს და მუშაობს კვლევებზე უცხოელ კოლეგებთან ერთად წლების განმავლობაში.

სულხან-საბა ორბელაიანის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ზრუნავს ზემოაღნიშნული ღონისძიებების თანმიმდევრულად განხორციელებაზე და ინტერნაციონალიზაციის შედეგების უნივერსიტეტის საქმიანობაში ეფექტურად გამოყენებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტრუქტურა - განახლებული რედაქცია დამტკიცებულია 2022 წლის 30 დეკემბრის რექტორის #258-22 ბრძანებით;
- ორგანიზაციული სახელმძღვანელო - განახლებულია 2022 წლის 30 დეკემბრის რექტორის #258-22 ბრძანებით;
- 2020-2021 და 2021-2022 წლების პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა (სამწლიანი)-დამტკიცებულია 2019 წლის 24 სექტემბრის აკადემიური საბჭოს №08-19 საოქმო გადაწყვეტილებით; განახლების თარიღი: 2022 წლის 29 სექტემბრის აკადემიური საბჭოს №07-22 საოქმო გადაწყვეტილება;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- საერთაშორისო პროექტების სია;
- საერთაშორისო მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაციაა:

- უნივერსიტეტის გარე დაინტერესებული მხარეების (როგორიცაა მაგ,. კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართულობა უფრო სისტემატიური და შინაარსიანი უნდა იყოს, მითუმეტეს იქ, სადაც აკადემიური პროგრამის შეფასების პროცესს ეხება საქმე.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტურად განსახორციელებლად სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსის მობილიზებას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასების შედეგების და მათი გამოყენების“ (განახლებული რედაქცია დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 20 თებერვლის #37-23) წესის მიხედვით, შემუშავებული და დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები: საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმი; სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი; სასწავლო პროცესის შეფასების მექანიზმი; აკადემიური/მოწვეული პერსონალის აკადემიური შეფასების მექანიზმი. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმის მიზანია, დაადგინოს პროგრამაში ჩართული პერსონალის მაღალკვალიფიციურობა, პროგრამაში შემავალი კომპონენტებით სწავლის შედეგების მიღწევადობა. პროცესებში აქტიურად არიან ჩართული დაინტერესებული მხარეები: აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები; თუმცა ავტორიზაციის ექსპერტები მიერ გაცემული იქნა შემდეგი **რეკომენდაცია:** უნივერსიტეტის გარე დაინტერესებული მხარეების (როგორიცაა მაგ,. კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართულობა უფრო სისტემატიური და შინაარსიანი უნდა იყოს, მითუმეტეს იქ, სადაც აკადემიური პროგრამის შეფასების პროცესს ეხება საქმე.

წარმოდგენილი ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით **რეკომენდაცია შესრულებულია:** უნივერსიტეტის გარე დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური კომუნიკაციის მიზნით მოქმედებს შემდეგი სახის კითხვარები: „კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი“ და „დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი“. წესის შესაბამისად, წელიწადში ერთხელ (აკადემიური წლის დასასრულს) თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ხდება პროგრამის კურსდამთავრებულისა და შესაბამისი სამიზნე დამსაქმებელთა გამოკითხვა. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებელთა შერჩევა გამოკითხვის მიზნებისთვის ხდება არა ავტომატურად, არამედ უშუალოდ უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების კურსდამთავრებულთა რეალური დასაქმების არეალის გათვალისწინებით. მათგან მიღებული მონაცემები უზრუნველყოფს გარე დაინტერესებული მხარეების ეფექტურ შეფასებას, რასაც უნივერსიტეტი წარმატებით იყენებს პროგრამების გაუმჯობესების პროცესში. მაგ., უნივერსიტეტმა მთელ რიგ პროგრამებში (სამართლის საბაკალავარო და სამაგისტრო, თეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და ა.შ.) თემატური ცვლილებები შეიტანა სწორედ დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მხრიდან მიღებული უკუკავშირის შესაბამისად, რა თქმა უნდა, შესაბამისი ორგანოების მიერ მათი დეტალური და საფუძვლიანი განხილვის შედეგად. კერძოდ: სამართლის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში დამსაქმებელთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კვლევის შედეგად ერთ-ერთ უმთავრეს და ერთიან გამოწვევად კურსდამთავრებულების მიერ სხვადასხვა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარის ნაკლებობა გამოვლინდა, რის შემდეგაც აღნიშნული საჭიროების გათვალისწინებით საბაკალავრო პროგრამას დაემატა ისეთი პრაქტიკული მოდულები, როგორიცაა: კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამართლის სამივე დარგში, სავალდებულო კურსის სახით შემოთავაზებულ იქნა პრაქტიკული კურსი სამართლის სამივე დარგში - სისხლის, კერძო და საჯარო სამართალში, სამართლებრივი წერა და საპროცესო უნარ-ჩვევები. შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე დაემატა ბიზნესისა და ტურიზმის პროგრამებს კრეატივისა და იდეების გენერირების ტექნიკა, სტარტაპების წარმოების მეთოდიკა და ა.შ უნივერსიტეტში დანერგილი ზემოაღნიშნული პრაქტიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი ეფექტურად ახდენს გარე დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციას, მათი აზრის

მიღებას და გათვალისწინებას შესაბამისი მიზნობრიობით და საკმარისი სიხშირით. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. შეფასების შედეგები გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასების სისტემა; სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და მონიტორინგის შედეგებს ითვალისწინებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად; ასევე საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც აქტიურად არიან ჩართულები როგორც აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალი და სტუდენტები, ასევე გარე დაინტერესებული მხარეები.

უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს უნივერსიტეტის რესურსებს და დადგენილ სათანადო ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენება - განახლებული რედაქცია დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 20 თებერვლის #37-23 ბრძანებით;
- 2020-2021 და 2021-2022 წლების პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები;
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

_

რჩევები:

_

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაციებია:

2.3.1. უნდა დაინერგოს პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამა და საბაუნის მიერ მისი მოხმარება შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, როგორც ბარიერი (პროცენტი) და მისი გამოთვლის მეთოდი, ასევე პუბლიკაციებიც,

რომელთა შესამოწმებლადაც გამოიყენება ის და მონაცემების დაცვის საკითხები, მას შემდეგ, რაც ის რეალურად დაინერგება და ამუშავდება;

2.3.2. მართალია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის არსებობა თავისთავად საკმარისია, პერსონალმა და სტუდენტებმაც უნდა მოაწერონ მასზე ხელი უნივერსიტეტში მისვლის პირველივე დღეს, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას;

2.3.3. უცხოელი სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულნი სტუდენტურ თვითმმართველობაში.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტს სტუდენტებისა და პერსონალისთვის შემუშავებული აქვს ეთიკისა და ქცევის წესები და განსაზღვრული აქვს ამ წესების დარღვევაზე რეაგირების შესაბამისი პროცედურები, რომელიც ასახულია სტუდენტთა ქცევის კოდექსში - განახლებული რედაქცია დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 06 აპრილის #38-21 ბრძანებით და უნივერსიტეტის შინაგანაწესში - განახლებული რედაქცია დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 06 აპრილის #52-21 ბრძანებით.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, შესაბამისი ღონისძიებების გატარებით, მუდმივად ზრუნავს ეთიკური და ქცევის ნორმების დაცვის ხელშეწყობასა და წახალისებაზე. სათანადო რეგულაციებით და მექანიზმებით ხელს უწყობს პლაგიატის თავიდან აცილებას. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაცემული **რეკომენდაცია:** უნდა დაინერგოს პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამა და საბაუნის მიერ მისი მოხმარება შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, როგორც ბარიერი (პროცენტი) და მისი გამოთვლის მეთოდი, ასევე პუბლიკაციებიც, რომელთა შესამოწმებლადაც გამოიყენება ის და მონაცემების დაცვის საკითხები, მას შემდეგ, რაც ის რეალურად დაინერგება და ამუშავდება.

რეკომენდაცია შესრულებულია: უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების წესი, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიურ საქმიანობას და დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები. აღნიშნული წესი ვრცელდება უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებზე, ასევე ნებისმიერ პირზე რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის ეგიდით ჩატარებულ სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში ან აქვეყნებს ნაშრომს უნივერსიტეტის გამოცემაში.

უნივერსიტეტი სარგებლობს ანტიპლაგიატის საერთაშორისო პლატფორმით - StrikePlagiarism.com პროგრამას აქვს საერთაშორისო დონის პროტოკოლი და პარამეტრი, ასევე ნაშრომთა დაცვისა და პირადი მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მაღალი დონის სისტემა. აღნიშნული მოცემულია პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების წესში (დამტკიცებულია რექტორის 2023 წლის 29 მარტის N80-23 ბრძანებით), კერძოდ, შესაბამისი წესით დამოწმებული პირდაპირი ციტირების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი ნაშრომის 10%-ს. დაუმოწმებელი ტექსტის არსებობა ნაშრომში არ დაიშვება (0%). ნაშრომში სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ტექსტის გამოყენების მოცულობა, შესაბამისი დამოწმებით, არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი ნაშრომის 20%-ს. ამ სტანდარტის დარღვევით შესრულებული ნაშრომი მიიჩნევა პლაგიატად. აღნიშნული ნორმა ზედმიწევნით განსაზღვრავს არა მხოლოდ ზოგად პროცენტულ მაჩვენებლებს, არამედ ნორმატიული აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების გამოყენების სტანდარტსაც. აღსანიშნავია, რომ, ერთი მხრივ, პლაგიატის სისტემა ზუსტად აიდენტიფიცირებს წყაროებს, ხოლო, მეორე მხრივ, კომისიური წესით შედეგების განხილვა (მაგ.: საკვალიფიკაციო ნაშრომების შემფასებელი კომისია, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების შემთხვევაში - ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსთან და პრორექტორთან ერთად) და პროცესის ღიაობა თითოეული ავტორისთვის, უზრუნველყოფს სამართლიან შედეგს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. გარდა იმისა, რომ აკადემიური ქცევისა და კვლევითი ეთიკის საკითხები დეტალურად არის მოწესრიგებული პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების წესში, უნივერსიტეტის

შინაგანაწესსა და სტუდენტთა ქცევის კოდექსშიც განმტკიცებულია, რომ უნივერსიტეტის აფილირებულმა და მოწვეულმა აკადემიური პერსონალმა, ასევე სტუდენტებმა უნდა დაიცვან ანტიპლაგიატის წესები, არ დაუშვან სხვისი სამეცნიერო მასალის გამოყენება ციტირების სათანადო წესის მითითების გარეშე და, რომ პლაგიატი ითვლება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ქცევის წესების დარღვევად (2021 წლის 06 აპრილს რექტორის N52-21 ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესის 36-ე მუხლის 36.2.2 ქვეპუნქტი და 2021 წელს 06 აპრილს რექტორის N38-21 ბრძანებით დამტკიცებული სტუდენტთა ქცევის კოდექსის მე-3 მუხლის 3.5 პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტი).

სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულების და შეფასების წესის თანახმად (დამტკიცებული 2022 წლის 27 დეკემბრის რექტორის N252-22 ბრძანებით), პლაგიატის აღმოჩენა ნაშრომის უარყოფითად შეფასების საფუძველია (მე-16 მუხლის მე-14 პუნქტის 14.3 ქვეპუნქტი). უარყოფით შეფასებად განიხილება (f) და (fx) შეფასებები, ხოლო თუ რომელს მიიღებს სტუდენტი, თავის მხრივ, პლაგიატის შედეგებზე, დარღვევის ხარისხზეცაა დამოკიდებული. თუ სტუდენტმა დააგროვა 41-დან 51 ქულამდე (მიიღო (fx) შეფასება), მას ეძლევა იმავე ნაშრომის გაუმჯობესების უფლება, ხოლო თუ სტუდენტი კომისიის მიერ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე უფრო ნაკლებ ქულას დააგროვებს (მიიღებს (f) შეფასებას) - სტუდენტი კარგავს იმავე ნაშრომზე მუშაობის უფლებას (მე-16 მუხლის მე-12 პუნქტის 12.1 ქვეპუნქტი). ამასთან, რამდენადაც ეთიკის კოდექსით პლაგიატის აღმოჩენა დისციპლინური გადაცდომაა, მსგავს შემთხვევაში გარდა უარყოფითი შეფასებისა, გადაცდომის ხარისხის გათვალისწინებით შესაძლებელია საკითხი განიხილოს უნივერსიტეტის დისციპლინურმა კომისიამ. დოქტორანტურის შემთხვევაში კი პლაგიატის აღმოჩენა პირდაპირ არის გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლად (2023 წლის 28 თებერვლის სადისერტაციო საბჭოს N01-23 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული დოქტორანტურის დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი), პლაგიატის მოგვიანებით გამოვლენის შემთხვევაში კი დოქტორის სტატუსის ბათილობისა (30-ე მუხლი). უნივერსიტეტი მკაცრად აკონტროლებს პლაგიატის ყველა გამოვლინებას, რაც დასტურდება ფაქტით, რომ უნივერსიტეტში იყო ნაშრომის პლაგიატად ჩათვლის პრეცედენტები.

კვლევის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირებულობის ამაღლებაზე კვლევის ეთიკის მიმართულებით, რის გამოც უნივერსიტეტში იმართება საორიენტაციო შეხვედრები, აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ტრენინგები და ზემოთ აღნიშნული ყველა წესი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ყველა პროგრამის სტუდენტს აქვს სხვადასხვა საფეხური სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საგნები, აკადემიური კეთილსინდისიერების და ეთიკის საკითხების შესასწავლად, ასეთი საგნებია „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები", „აკადემიური წერა და პრეზენტაციის ტექნიკა," „აკადემიური წერა და დისერტაციის არქიტექტონიკა". ამასთან, იხვეწება პლაგიატის წესი და ინერგება პრაქტიკაში, რისი მაგალითიცაა, რომ აღნიშნული წესი განახლებული რედაქციით დამტკიცდა და განივრცო პლაგიატის ფორმები.

ასევე გაცემული **რეკომენდაცია:** მართალია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის არსებობა თავისთავად საკმარისია, პერსონალმა და სტუდენტებმაც უნდა მოაწერონ მასზე ხელი უნივერსიტეტში მისვლის პირველივე დღეს, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

რეკომენდაცია შესრულებულია: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტს პერსონალისა და სტუდენტებისათვის ცალ-ცალკე აქვს შემუშავებული ორი დოკუმენტი („სტუდენტთა ქცევის კოდექსი" და უნივერსიტეტის „შინაგანაწესი"), რომლებშიც გაწერილია ეთიკისა და ქცევის წესები, წესების დარღვევაზე რეაგირების პროცედურები, დისციპლინური კომისიის შემადგენლობა და სხვა. პერსონალი და სტუდენტები აღნიშნული წესების მიხედვით, იღებენ დეტალურ ინფორმაციას მათი უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე ვალდებულებების დარღვევის შესაძლო შედეგების შესახებ. ორივე დოკუმენტში ცვლილებები შევიდა 2021 წელს, რაც განპირობებული იყო უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო საფეხურის დამატებითა და უნივერსიტეტის სახელის ცვლილებით. დებულებებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში ცვლილებების პროექტი

დამტკიცებამდე სულ მცირე ერთი კვირით ადრე უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომი ხდება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე ან/და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებით, ამდენად დაინტერესებულ მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა წარმოადგინონ შენიშვნები თუ მოსაზრებები. უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს სტუდენტების აქტიურ ჩართვას სტუდენტთა ქცევის კოდექსის მოდიფიცირების პროცესში. მაგალითისთვის: განათლების სამართლის კურსის ფარგებში, სტუდენტების მიერ მომზადებული სტუდენტთა ქცევის კოდექსის პროექტების განხილვა დაგეგმილია სამუშაო ჯგუფთან ერთად, რომლებიც უზრუნველყოფენ კოდექსის ცვლილებების პროექტის შექმნას და საბოლოოდ დასამტკიცებლად რექტორთან მის წარდგენას. „სტუდენტთა ქცევის კოდექსი“ და უნივერსიტეტის „შინაგანაწესი“ არის სტუდენტთა და პერსონალთან დადებული ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი, რომლებსაც უნივერსიტეტის სტუდენტები და პერსონალი ეცნობიან ხელშეკრულების ხელმოწერამდე და ხელშეკრულების ხელმოწერით ადასტურებენ მათ გაცნობას (სტუდენტების განათლების მომსახურების ხელშეკრულებები (1-ლი და მე-5 პუნქტების დათქმები); მოწვეული პერსონალის ხელშეკრულება (მე-12 პუნქტის დათქმა); აკადემიური პერსონალის (13-ე პუნქტის დათქმა), ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი (მე-14 მუხლის დათქმა). ხელშეკრულებაში არსებული დათქმის მიხედვით, რამდენადაც აღნიშნული დოკუმენტები ხელშეკრულების ერთიანი განუყოფელი ნაწილია, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ნიშნავს უნივერსიტეტში მოქმედ დოკუმენტებზე ხელმოწერას. გარდა ამისა, დებულებები ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

შემდგომი **რეკომენდაცია:** უცხოელი სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულნი სტუდენტურ თვითმმართველობაში.

რეკომენდაცია შესრულებულია: უცხოელი სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ აკადემიურ და სოციალურ ღონისძიებებში. რაც შეეხება უცხოელი სტუდენტების თვითმმართველობის წევრად არჩევას, აღნიშნულის გადაწყვეტისგან უნივერსიტეტი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სრულიად დისტანცირებულია და მას ეკრძალება ნებისმიერი ჩარევა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტი). მეორე მხრივ კი, არჩევნებში მონაწილეობის მიღება არ მიღების საკითხი თავად სტუდენტის გადასაწყვეტია, კენჭისყრის შემთხვევაში კანდიდატებს ირჩევენ თავად სტუდენტები, რის გამოც უნივერსიტეტი მოკლებულია ამ მხრივ რაიმე აქტიური ღონისძიების გატარების შესაძლებლობას. ამ მიმართულებით, უნივერსიტეტის ერთადერთი როლი არის დაეხმაროს სტუდენტებს ინფორმაციის გავრცელებისა და მიწოდების ნაწილში. თვითმართველობის ბოლო არჩევნებში, რომელიც ჩატარდა მიმდინარე წლის 31 მარტს, უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს ქართულ და ინგლისურ ენებზე, დაეგზავნათ ინფორმაცია არჩევნების თაობაზე სხვადასხვა საშუალებით. ამასთან, ინფორმაცია განთავსებული იყო საჯაროდ და ხელმისაწვდომად.

უნივერსიტეტს შესაბამის მარეგულირებელ აქტ(ებ)ში დეკლარირებული აქვს აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვა; ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დასტურდება რომ უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები იცნობს და იზიარებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენება - განახლებული რედაქცია დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 20 თებერვლის #37-23 ბრძანებით;
- პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების წესი - განახლებული რედაქცია დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 29 მარტის #80-23 ბრძანებით;
- სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულების და შეფასების წესი - განახლებული რედაქცია დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 27 დეკემბრის #252-22 ბრძანებით;

- დოქტორანტურის დებულება - განახლებული რედაქცია დამტკიცებულია 2023 წლის 28 თებერვლის N01-23 საოქმო გადაწყვეტილებით;
- სტუდენტთა ქცევის კოდექსი - განახლებული რედაქცია დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 06 აპრილის #38-21 ბრძანებით;
- უნივერსიტეტის შინაგანაწესი - განახლებული რედაქცია დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 06 აპრილის #52-21 ბრძანებით;
- პერსონალსა და სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- ქცევის წესების სამახსოვრო ბარათი;
- დისციპლინურ საკითხთა კომისიის სხდომის იმიტირებული პროცესის პროექტი;
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაციებია:

3.1.1. არსებითად უნდა გაუმჯობესდეს ინგლისური ენის ტესტები;

3.1.2. უნივერსიტეტმა უნდა შესთავაზოს ალტერნატიული ვარიანტები იმ სტუდენტებს, რომელთაც აქვთ დამაკმაყოფილებელი შედეგები, მაგრამ არ აქვთ საკმარისი ECTS კრედიტები საბაკალავრო პროგრამებში

3.1.3. უნდა მოხდეს მონაცემთა შეგროვების ალტერნატიული მექანიზმებისა და კითხვარების გამოყენება

3.1.4. განმარტებულ უნდა იქნას უცხოენოვანი კურსების „ნაწილობრივ“ დასრულებასთან და გამონაკლისებთან დაკავშირებული მოთხოვნები.

რეკომენდაცია 3.1.1 სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა

ექსპერტთა მიერ გაწეული რეკომენდაცია და მოახდინა ტესტის მოდიფიცირება. უნივერსიტეტის პერსონალი ადასტურებს, რომ ტესტებში ცვლილებების შეტანა ხდება ყოველწლიურად. ტესტები მუშავდება, რათა მაქსიმალურად შეესაბამებოდეს CEFR-ის (Common European Framework of Reference for Languages) დონეს.

რეკომენდაცია 3.1.2. მონიორინგის ჯგუფმა შეამოწმა დაწესებულების მიერ წარდგენილი საგანამანათლებლო პროგრამები და სილაბუსები, რომელთა ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს ერთიანი 100- ქულიანი შეფასება, ხოლო თითოეულ საგანში გამსვლელი არის 51 ქულა.

შეფასების კონკრეტულ კომპონენტში შესაძლებელია დადგენილ იქნეს დამატებით მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უშუალოდ სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის მიერ, რომელიც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ყველა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი სრულად შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების დაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებას.

მოქმედი პროგრამების რეაკრედიტაციის და ახალი პროგრამების აკრედიტაციის დროს ყველა პროგრამამ დაიმსახურა დადებით შეფასებას.

რეკომენდაცია 3.1.3. დაწესებულებამ გაითვალისწინა ექპერტთა მიერ მიცემული რეკომენდაცია. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისას, შემუშავებისას, განხორციელებისას და განვითარებისას მუდმივად ახორციელებს მონაცემთა შეგროვებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესის“ შესაბამისად, დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები: საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმი (მათ შორის შემუშავების პროცესში მყოფი საგანმანათლებლო პროგრამები); სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი; სასწავლო პროცესის შეფასების მექანიზმი; აკადემიური/მოწვეული პერსონალის აკადემიური შეფასების მექანიზმი, რომლის საფუძველზეც დგინდება პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიციურობა, პროგრამაში შემავალი კომპონენტებით სწავლის შედეგების მიღწევადობა. აღნიშნულ პროცესში ჩართულია აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები. დაწესებულება სემესტრულად, წლიურად ახოციელებს მონაცემთა შეგროვებას საგანმანათლებლო პროცესში არსებულ აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით: რამდენად ადეკვატურად მიმდინარეობდა სწავლება, სწავლის მეთოდების გამოსადეგობა, საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების განხორციელების პროცესში არსებული გასაუმჯობესებელი მხარეები, სტუდენტების აკადემიური მომზადების დონე და აკადემიური პერსონალის პედაგოგიური და პროფესიონალური თვისებები.

მონიტორინგის პროცესში ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ კითხვარების შემუშავების პროცესში ჩართული იყო დაწესებულების სხვადასხვა ერთეულები: მონიტორინგის სამსხური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. მათ მიერ მოხდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის კითხვარები, რომელიც ეგზავნება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სასწავლო წლის დასაწყისში და სასწავლო წლის ბოლოს, რათა შეფასდეს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება.

ამასთან მოქმედი პროგრამების რეაკრედიტაციის და ახალი პროგრამების აკრედიტაციის დროს ყველა პროგრამამ დაიმსახურა დადებით შეფასებას.

რეკომენდაცია 3.1.4. უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კურსებში სტუდენტების შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. კურსის „ნაწილობრივ“ დასრულების ალტერნატივა არ აღინიშნება არც ერთ სასწავლო კურსში.

ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენება;
- გამოკითხვების შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

- კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში, შიდა მექანიზმების შემუშავებაში.
- ფოკუს ჯგუფების ჩატარება.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაციებია:

3.2.1. აკადემიური სასწავლო გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ონლაინში განთავსებულ სასწავლო გეგმას;

3.2.2. იმ შემთხვევაში, თუ სადოქტორო სასწავლო პროგრამების განხორციელება მაინც გადაწყდება (თუმცა, ასე არ უნდა მოხდეს), მაშინ ისინი უფრო დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს.

რეკომენდაცია 3.2.1. დაწესებულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მისია, ხედვა, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა, სტატისტიკა, პროგრამების კატალოგი და სხვა) განთავსებულია უმაღლესი დაწესებულების ვებ-გვერდზე და შეესაბამება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ასევე, უნივერსიტეტს საკუთარ ვებ-გვერდზე ასახული აქვს პროგრამასთან დაკავშირებული მონაცემები (სპეციალობა, სწავლის ხანგრძლივობა, სწავლის ენა და პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები, სწავლის საფასური და ა.შ.) განთავსებული ინფორმაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

https://www.sabauni.edu.ge/ka

რეკომენდაცია 3.2.2. სულხან-საბა ორბელიანის სადოქტორო პროგრამების განხორციელების უფლება მინიჭებულია ავტორიზაციის საბჭოს მიერ. აგრეთვე, სამმა სადოქტორო პროგრამამ (სამართალი, საჯარო მმართველობა, თეოლოგია) წარმატებით გაიარა აკრედიტაციის პროცესი და აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიენიჭა პროგრამების განხორციელების უფლება.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს სასწავლო უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და ეროვნული და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO, HeinOnline, Westlaw). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ცენტრალური სამკითხველოს გარდა, სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ დავით ბატონიშვილისა და ძმების ზუბალაშვილების სამკითხველო კაბინეტებითაც.

აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამართულია და არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებლები მუდმივად არიან ჩართულნი პროგრამის მოდიფიკაცია-სრულყოფაში. უნივერსიტეტში შექმნილია ლაბორატორიები კვლევითი განვითარების და სხვა საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრები, რომლებიც ხელს უწყობენ დოქტორანტებს სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობაში. სადოქტორო

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხარისხის მართვის სამსახური, სამეცნიერო-კვლევითი სამსახური. აღსანიშნავია სადოქტორო პროგრამების დაგეგმვა-განხორციელებაში პროგრამის ხელმძღვანელის მაღალი ჩართულობა. პროგრამებში გაწერილია დოქტორანტისათვის და განმახორციელებლისათვის ყველა საჭირო ინფორმაცია. **ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • 2022-2023 წლის აკადემიური კალენდარი; • ვებ გვერდი; • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება MES 3 21 0000320271; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება MES 9 21 0000808177 - შპს სულხან საბა-ორბელიანის უნივერსიტეტის "სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება MES 9 22 0000124355 - შპს სულხან საბა-ორბელიანის უნივერსიტეტის "თეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება MES 2 22 0000781890 - შპს სულხან საბა-ორბელიანის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე;
რეკომენდაციები: –
რჩევები: –
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაციებია:** 3.3.1. გამოცდები უნდა იყოს ანონიმური; 3.3.2. სამაგისტრო ნაშრომებში მეთოდოლოგიის ნაწილი უნდა იყოს სავალდებულო

რეკომენდაცია 3.3.1. ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ დაწესებულება არ ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას. საგამოცდო პროცესი ტარდება სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობასთან, მათ შორის „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დებულების შესაბამისად. საგამოცდო პროცესის ადმინისტრირება და შეფასება ხორციელდება ეფექტურად, ობიექტურად და სამართლიანად. დაწესებულებას აქვს ჩამოყალიბებული შედეგების გასაჩივრების წესი, სადაც საფეხურეობრივად გაწერილია შესაბამისი პროცედურები, რომელთა მიხედვითაც, პერიოდული გამოკითხვებისა თუ გამოცდების შედეგების უკმაყოფილების არსებობის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფს ასევე არ მიაჩნია აღნიშნული რეკომენდაციის მართებულება. შეფასების სისტემის მკაფიოდ, გამჭვირვალედ ჩამოყალიბების შემთხვევაში და აკადემიური კეთილსინდისიერების ფარგლებში გამოცდა შესაძლებელია არ იყოს ანონიმური. მეტიც, გამოცდები შესაძლოა იყოს, როგორც წერითი, ასევე ზეპირი (პირისპირ გასაუბრების ფორმატში), რაც არ მოითხოვს ანონიმურობის წესის დაცვას.

აღნიშნული რეკომენდაცია არ არის შესრულებული, თუმცა მხარს ვუჭერთ დაწესებულებას.

რეკომენდაცია 3.3.2. დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, რაც დასტურდება შიდასაუნივერსიტეტო აქტებით, სილაბუსით და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომებით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კვლევის მეთოდოლოგიას, რომლის გარეშეც სამაგისტრო ნაშრომის შესრულება ჰკარგავს ძირითად არსს და დანიშნულებას. აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამებს (ასევე სადოქტორო პროგრამებს) წარმატებით აქვთ განვლილი აკრედიტაციის პროცესი, რომლის დროსაც მოწმდება უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომების ხარისხი.

რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაციებია:** 4.1.1 პერსონალის საქმიანობის შეფასება საჭიროებს გაუმჯობესებას; 4.1.2 აღმოიფხვრას პერსონალის კომპეტენციებისა და როლების გადაკვეთა; 4.1.3 შემუშავდეს გეგმა, სადაც მოცემული იქნება მოთხოვნები და წახალისების ფორმები თანამშრომლების მიერ ნაშრომების გამოსაქვეყნებლად მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში და არა ადგილობრივ, შიდა გამოცემებში; 4.1.4 შეიქმნას თანამშრომლების პროფესიული რეზიუმეების განახლებული მონაცემთა ბაზა; 4.1.5 შემუშვდეს სამომავლო განვითარების ღონისძიებებში შეფასების შედეგების გამოყენების მკაფიო მექანიზმი; 4.1.6 გაიზარდოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დაფინანსება. **რეკომენდაცია 4.1.1.** რეკომენდაციის შესრულების მიზნით დაწესებულებამ განაახლა პერსონალის შეფასების წესი, კერძოდ: გაიზარდა კვლევითი საქმინობის შესაფასებლად განკუთვნილი ქულების წილი პერსონალის საერთო შეფასებაში. განახლებული წესის მიხედვით პერსონალის კვლევით აქტივობებს უფრო მეტი ქულები ეწერება. დაწესებულების რექტორის ბრძანებით 2023 წლის 23 იანვარს ცვლილებები შევიდა და განახლდა დაწესებულებაში 2020 წლიდან მოქმედი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასების და ხელშეწყობის წესი. აღნიშნული წესი მოიცავს შემდეგ ნაწილებს; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა და შეფასება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისა და წახალისების მექანიზმები, ღია კონკურსი და სტიპენდიები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის, აკადემიური პერსონალის აკადემიური კვლევის შეფასების ფორმა, აკადემიური პერსონალის აკადემიური განვითარების შეფასების ფორმა, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის აკადემიური საქმიანობის შეფასების ფორმა, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის ფორმა. **რეკომენდაცია 4.1.2.** საანგრიშო პერიოდში დაწესებულების მხრიდან გადაიხედა ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები. ცვლილებები შევიდა "ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში". განხორციელდა ორგანიზაციული სახელმძღვანელოს განახლება, შეიცვალა უნივერსიტეტის სტრუქტურა და შესაბამისად, განახლდა თითოეული პოზიციის სამუშაო აღწერილობა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება. დაზუსტდა და ერთმანეთისგან გაიმიჯნა აკადემიური განვითარებისა და კვლევის მენეჯერისა და ხარისხის მართვის სამსახურის თანამშრომელთა ფუნქციები და როლები, კერძოდ:

კვლევით აქტივობების შეფასება მთლიანად გადავიდა ხარისხის მართვის სამსახურის მოვალეობებში, ხოლო აკადემიური კვლევების დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერი კონცენტრირებულია აღსრულების ნაწილზე, მაგალითად, ინდივიდუალურად უგეგმავს პერსონალს აქტივობებს, თუ პერსონალმა ვერ შეასრულა მინიმალური დატვირთვა და სხვ.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საანგარიშო წლის განმავლობაში შეიცვალა ხელშეკრულებების შაბლონები და სხვადასხვა მარეგულირებელი წესი, მაგალითად, შეიცვალა, დაწესებულებაში მოქმედი ცენტრების დებულებები. საანგარიშო პერიოდში შევიდა ცვლილებები "აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულებაში": ცვლილებამდე წესი მოიცავდა აკადემიურ თანამდებობაზე მხოლოდ აკადემიური ნიშნით შერჩევის კრიტერიუმებს, რასაც ცვლილების შემდეგ დაემატა პერსონალის პროფესიული ნიშნით შერჩევის კრიტერიუმებიც.

რეკომენდაცია 4.1.3 დაწესებულება ყოველწლიურად შეიმუშავებს კვლევითი პრიორიტეტების გეგმას და განსაზღვრავს კვლევითი პრიორიტეტებით დასახული მიზნების მისაღწევად კვლევით აქტივობებს/ღონისძიებებს. დაწესებულების რექტორის ბრძანებით 2022 წლის 11 სექტემბერს დამტკიცებულია აკადემიური პერსონალის წლიური სამეცნიერო დატვირთვის შესრულებისათვის ერთჯერადი ფულადი პრემიის განსაზღვრის წესი. აღნიშნული წესი ითვალისწინებს აფილირებული აკადემიური პერსონალის ფინანსურ წახალისებას წლიური სამეცნიერო დატვირთვის 100%-ით და მეტად შესრულებისთვის. ასევე, აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის გათვალისწინებულია ერთჯერადი ფულადი პრემია scopus-ში ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებისთვის (625 ლარი). გარდა ამისა, აკადემიური პერსონალის მიმართ, რომლებიც სრულყოფილად და ჯეროვნად ასრულებენ მინიმალურ სამეცნიერო დატვირთვას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი წამახალისებელი ღონისძიებები: მადლობის გამოცხადება; ერთჯერადი ფულადი ბონუსი; ფასიანი საჩუქარი; პრიორიტეტის მინიჭება საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისას; პრიორიტეტის მინიჭება კონფერენციების და კვლევების დაფინანსებისას; პრიორიტეტის მინიჭება სტატიებისა და წიგნების ბეჭდვის დაფინანსებისას; სამეცნიერო-კვლევითი მივლინების დაფინანსება.

მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში თანამშრომლების მიერ ნაშრომების გამოსაქვეყნებლად მოთხოვნები და წახალისების ფორმები განსაზღვრულია სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასების და ხელშეწყობის წესში.

მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში თანამშრომლების მიერ ნაშრომების გამოქვეყნების წახალისების მიზნით აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებისას (შეფასების მაქსიმალური ქულა 100 ქ.) მაღლრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნება შეფასებულია უფრო მაღალი ქულებით, ვიდრე ადგილობრივ ჟურნალებში პუბლიკაციები, კერძოდ: Scopus-ში ინდექსირებულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის ავტორობა/თანაავტორობა- 100 ქ.; უცხო ენაზე სამეცნიერო სტატიის თანაავტორობა -35; უცხო ენაზე სამეცნიერო სტატიის ავტორობა -40 ქ.; იმფაქტ ფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის თანაავტორობა-80 ქ. იმფაქტ ფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის ავტორობა -90 ქ.

რეკომენდაცია 4.1.4 დაწესებულება ყოველწლიურად უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიული რეზიუმეების (CV- ის) განახლებას. საანგარიშო პერიოდსი დაწესებულება მუშაობდა პერსონალის მართვის პროცესების გაციფრულებასა და იმპლემენტაციაზე. მიმდინარე წელს გაციფრულების პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა პერსონალის CV-ს შიდა საუნივერსიტეტო ბაზაში გენერირების საკითხი, შემუშავდა ტექნიკური დავალება და განხორციელდა შესაბამისი სამუშაოები, რომელიც შემდეგი სასწავლო წლისთვის საშუალებას მისცემს პერსონალს, შიდა საუნივერსიტეტო ბაზაში შექმნან და მომენტალურად განაახლონ საკუთარი CV. დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს აქვს პერსონალის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული პროფესიული რეზიუმეები, რომელთა ბოლო განახლება მოხდა 2023 წლის სექტემბერ-ოქტომბერში: პერსონალს დაეგზავნა ელექტრონული ფოსტით წერილი და დრაივის ბმული, სადაც უნდა

განეახლებინათ საკუთარი პროფესიული რეზიუმეები. გრძელდება მუშაობა იმ მიმართულებით, რომ დაწესებულების ბაზაში ჩაშენდეს ადამიანური რესურსების მართვის მოდული, რათა მოხდეს ციფრულად პროფესიული რეზიუმეების განახლება.

რეკომენდაცია 4.1.5 დაწესებულებაში შემუშავებულია სამომავლო განვითარების ღონისძიებებში შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმი, რაც მოიცავს პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო საქმინობის შეფასებას დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემის მეშვეობით, შეფასების შედეგების ანალიზსა და განხილვას, შედეგების საფუძველზე სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვას ინდივიდუალურად ცალკეული პერსონალისთვის. საანაგრიშო პერიოდში განხორციელდა თანამშრომელთა შესრულებული საქმიანობის შეფასება. სამეცნიერო კვლევისა და განვითარების მენეჯერი უგეგმავს განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს აკადემიურ პერსონალს. თუ რამდენად შესრულდა სამეცნიერო სტანდარტი, ფასდება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ. პერსონალის შეფასების შედეგების ანგარიში განიხილება აკადემიურ საბჭოზე. ცალკეულ შემთხვევებში, როცა პროფესორებმა ვერ შეასრულეს სამეცნიერო დატვირთვა, დაწესებულების შესაბამისი სამსახური პროფესორებთან ერთად გეგმავს განვითარებაზე ორიენტირებულ ინდივიდუალურ ღონისძიებებს თითოეული პედაგოგისთვის. იმ შემთხვევაში კი, როცა პერსონალმა გადაჭარბებით შეასრულა სამეცნიერო დატვირთვა, მათთვის გათვალისწინებულია წახალისებები (მათ შორის ფინანსური).

რეკომენდაცია 4.1.6 დაწესებულებაში მოქმედებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და შეფასების წესი, რომელიცა განახლებულია 2022 წლის 26 ივლისს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დაფინანსების ბოლო 5 წლის მონაცემების მიხედვით, ასევე, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს პერსონალთან ინტერვიუს შედეგების მიხედვით, დაწესებულებაში 2021-2022 და 2022-2023 წწ.-ში წინა წელთან შედარებით გაზრდილია აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო კვლევევის დაფინანსება, ასევე სხვადასხვა კვლევების გამოქვეყნების დაფინანსებაც. ამასთან, გაზრდილია სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, საჯარო ლექციების, სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობების ხარჯები, მიზნობრივ გრანტებთან და პროექტებთან დაკავშირებული ხარჯები.

დაწესებულებაში საანაგრიშო პერიოდში პროფესიული განვითარების ღონისძიების დაგეგმვა და განხორცილება მიმდინარეობდა პერმანენტულად. პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგები, რომლებიც მიმართული იყო მათი ცოდნისა და უნარების განვითარებაზე. ტრეინინგებში დაწესებულების მოწვევით ჩართული იყო უცხოელი ტრენერებიც. ტრენინგები, სადაც ჩართული იყო 150-ზე მეტი თანამშრომელი, ძირითადად მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგია; საგრანტო კვლევითი პროექტების მომზადება; პირველადი სამედიცინო დახმარება; აკადემიური წყაროების მოძიება და სამეცნიერო ბაზების გამოყენება.

ამასთან, პროფესიული განვითარებისა და კვლევითი აქტივობებისათვის ფაკულტეტისა და სადოქტორო სკოლის მიერ კვლევითი საქმიანობის დაფინანსების გარდა, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, მკვლევრებსა და სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელიც განიხილავს წინადადებას და წყვეტს დაფინანსების საკითხს.

ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების ორგანიზაციული სახელმძღვანელო;
- დაწესებულების სტრუქტურა;
- დაწესებულების წლიური ანგარიში (2022-2023 აკადემიური წელი);
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სამუშაოს აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურის ჩატარების დებულება;
- პროფესიული განვითარების ღონისძიებები;
- განხორციელებული საინფორმაციო შეხვედრების ჩამონათვალი;
- პერსონალის პროფესიული რეზიუმეები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური პროგრამების მიხედვით აკადემიური პერსონალისა და სტუდენთა თანაფარდობა;
- დასკვნა აკადემიური-მოწვეული პერსონალის შეფასების შესახებ;
- დასკვნა სასწავლო პროცესის შეფასების შესახებ;
- აკადემიური-მოწვეული პერსონალის შეფასების ინდექსი;
- სასწავლო პროცესის შეფასების ინდექსი;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ბიუჯეტი;
- დაწესებულების ბიუჯეტი (2022-2023 სასწავლო წელი);
- დაფინანსების ბოლო 5 წლის დინამიკა;
- ფინანსური ანგარიშგება 2020 წ.;
- ფინანსური ანგარიშგება 2021 წ.;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და შეფასების წესი;
- სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასების და ხელშეწყობის წესი;
- აკადემიური პერსონალის წლიური სამეცნიერო დატვირთვის შესრულებისათვის ერთჯერადი ფულადი პრემიის განსაზღვრის წესი;
- ერთობლივი/საერთაშორისო კვლევითი პროექტების ჩამონათვალი;
- დაწესებულების აფილირებული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშები (2021-2022 წწ.);
- ანგარიში 2022-2023 სასწავლო წლის საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევითი პრიორიტეტებისა და ძირითადი მიმართულებების შესახებ;
- ანგარიში 2023-2024 სასწავლო წლის საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტები და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების პოლიტიკა;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციისა და აკადემიური საბჭოს წარმომადგენლებთან, კვლევითი ცენტრებისა და ინსტიტუტების წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან. კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;
- დაწესებულების ვებ-გვერდი https://www.sabauni.edu.ge/ka.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაციებია:** 4.2.1 საჭიროა შემუშვდეს მკაფიო მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს აკადემიურ პროგრამებში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობას. ამასთან, ეს მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებდეს საუკეთესო პრაქტიკას და აკადემიური პერსონალის აფილირებას. უზრუნველყოფილი უნდა იქნას მისი (მეთოდოლოგიის) დანერგვა ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად სასწავლო დატვირთვა მეტნაკლებად ნორმალურია, ეს უფრო შემთხვევითობაა, ვიდრე წინასწარ შემუშავებული გეგმის ნაწილი. **რეკომენდაცია 4.2.1** რეკომენდაციის შესრულების მიზნით დაწესებულებაში 2023 წლის 29 მარტს განახლდა პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. დაწესებულებას უნდა ჰყავდეს საგანმანათლებლო პროგრამის ყოველ 50 სტუდენტზე 3 აკადემიური პერსონალი, 50 სტუდენტზე სულ მცირე 1 აფილირებული პერსონალი მაინც. სავალდებულო სასწავლო კურსების 60% უნდა დაიფაროს აფილირებული პერსონალის მიერ. დაწესებულებაში ამჟამად მოქმედ 18-ივე საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობის მაჩვენებელი ბევრად უფრო უკეთესია, ვიდრე დაწესებული მინიმალური მოთხოვნები. 2020 წელს ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, 2020 წელს სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებდა 13 საგანმანათლებლო პროგრამას 107 აკადემიური პერსონალით, რომელთაგან აღნიშნულ უნივერსიტეტთან აფილირებული იყო მხოლოდ 33. ამჟამად დაწესებულებას ჰყავს 125 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან აფილირებულია 68. პერსონალის ეს რაოდენობა ემსახურება 18 საგანმანათლებლო პროგრამის 1174 სტუდენტს. მიმდინარე სემესტრში პერსონალის დატვირტვა მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო დატვირთვას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მიმდინარე სემესტრის დატვირთვის მონაცემების მიხედვით მაქსიმალური ჯამური დატვირთვა პერსონალისთვის შეადგენდა 40 სთ. კვირაში (ერთი პერსონალი), ხოლო მინიმლური ჯამური დატვირთვა შეადგენდა 2 სთ. კვირაში. სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა ცალკე ანაზღაურებადია. **რეკომენდაცია შესრულებულია.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; • აკადემიური პროგრამების მიხედვით აკადემიური პერსონალისა და სტუდენთა თანაფარდობა; • პერსონალის შესახებ რაოდენობრივი მაჩვენებლები წაკითხული სასწავლო კურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამის ჩვენებით; • 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პერსონალის დატვირთვა; • აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურის ჩატარების დებულება; • დაწესებულების წლიური ანგარიში (2022-2023 აკადემიური წელი); • პერსონალის პროფესიული რეზიუმეები; • პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები; • სამუშაოს აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები; • ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა (2020 წ.);

- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციისა და აკადემიური საბჭოს წარმომადგენლებთან, კვლევითი ცენტრებისა და ინსტიტუტების წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან;
- დაწესებულების ვებ-გვერდი https://www.sabauni.edu.ge/ka.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დებულებით განსაზღვრულია სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დებულების მე-4 და მე-5 თავში გაწერილია სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესები. კრედიტების მინიჭებისა და აღიარების წესი დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით და რეგულირდება სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების (გავლილი სასწავლო კურსები) აღიარების წესში. ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის. სტუდენტებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ზემოთაღნიშნულ საკითხების საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ მიმართონ უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურს და სკოლების დეკანებს, სადაც მიიღებენ სასურველ ინფორმაციას.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დებულებაში გაწერილია სტუდენტთა უფლებები და მოვალეობები. უნივერსიტეტს შემუშავებული აქ „სტუდენტთა ქცევის კოდექსი“ და უნივერსიტეტის „შინაგანაწესი“), რომლებშიც გაწერილია ეთიკისა და ქცევის წესები, წესების დარღვევაზე რეაგირების

პროცედურები, დისციპლინური კომისიის შემადგენლობა და სხვა. აღსანიშანვია, რომ სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტთა ქცევის კოდექსის გაცნობის მიზნით, დაიგეგმა დისციპლინური საკითხთა კომიისიის სხდომის იმიტირებული პროცესი, რომელმაც სტუდენტებს მისცა საშუალება გააცნობიერონ მათი უფლებები და ვალდებულებები უნივერსიტეტთან მიმართებით.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კონტრაქტები იცავს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. უნივერსიტეტის მენეჯმენტის და სტუდენტების განმარტებით უნივერსიტეტის სტუდენტები ეცნობიან ხელშეკრულებას ხელმოწერამდე და ხელშეკრულებას ხელმოწერით ადასტურებენ. უნივერსიტეტში მოქმედებს მექანიზმი, რომელიც იცავს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერი ინტერესებს, იხილავს სტუდენტების საჩივრებს. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დებულების 30-ე მუხლში გაწერილია გამოცდის/პერიოდული გამოკითხვის შედეგების გასაჩივრების მექანიზმი. ვიზიტის დროს გასაუბრებებზე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში არ არის სტუდენტური ომბუდსმენი, შესაბამისად სასურველია უნივერსიტმა კონკურსის წესით აირჩიოს სტუდენტთა ომბუდსმენი, რომელიც მოახდენს სტუდენტთა კონსულტირებას, მხარდამჭერას, სტუდენტების ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და მათი დარღვევის ფაქტების შესწავლას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტზე ჩატარებული გასაუბრებების შედეგები;
- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დებულება;
- სასწავლო პროცესის დებულება;
- სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების (გავლილი სასწავლო კურსები) აღიარების წესი;
- უნივერსიტეტის რეკომენდაციების შესრულების შესახებ პასუხი;
- ქცევის წესების სამსახსოვრო ბარათი;
- დისციპლინურ საკითხთა კომისიის სხდომის იმიტირებული პროცესის პროექტი;
- უსდ სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.sabauni.edu.ge/ka

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

- სასურველია უნივერსიტმა კონკურსის წესით აირჩიოს სტუდენტთა ომბუდსმენი, რომელიც მოახდენს სტუდენტთა კონსულტირებას, მხარდამჭერას, სტუდენტების ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და მათი დარღვევის ფაქტების შესწავლას.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.

- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში სტუდენტები იღებენ კონსულტაციასა და სათანადო მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდგომ, სასწავლო წლის დასაწყისში სტუდენტებთან იმართება გაცნობითი შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის საჭირო და სტუდენტური სერვისების შესახებ ინფორმაციას. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია სტუდენტთა საკონსულტაციო საათების ცხრილი, უნივერსიტეტში მოქმედი თითოეული პროგრამის სასწვლო კურსების მიხედვით.

უნივერსიტეტში პოტენციურ დამსაქმებლებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებას და მათთან თანამშრომლობას უზრუნველყოფს სტუდენტურ საქმეთა მენეჯერი, რომლის ფუნქციებს წარმოადგენს სტუდენტთა კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, სტუდენტებისათვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნის მიზნით პოტენციური დამსაქმებლების შესახებ ინფორმაციის მოძიება და სხვადასხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. ვიზიტის დროს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას რამოდენიმე სტუდენტმა აღინიშნა, რომ ისინი რეგულარულად იღებენ დასაქმებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, კერძოდ სხვადასხვა ვაკანსიებს. ასევე მიუღიათ მონაწილეობა სტაჟირების პროგრამაში.
დამსაქმებლებმა ვიზიტის დროს ინტერვიუზე განაცხადეს რომ ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაში, კერძოდ ჰრ და ფსიქოლოგიის მიმართულებები. დამსაქმებლების მიერ დასახელდა უნივერსიტეტთან ურთიერთობის კონკრეტული შედეგები: „კარიტასი“10-15 სტუდენტს იწვევენ ტრეინინგებზე, რამოდენიმე სტუდენტი დღის ცენტრებში გადის პრაქტიკის პროგრამას. ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი „პაზლი“ - 31 სტუდენტმა გაიარა პრაქტიკა და 13 დასაქმებულია. „თბს ჯგუფის“ წარმომადგენლის განცხადებით ჰყავთ პრაქტიკანტები დაზღვევის მიმართულებით, დამსაქმებლებმა დადებითად შეაფასეს საბაუნის სტუდენტები. მიუხედავად უნივერსიტეტის სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის ძალისხმევისა სასურველია უნივერსიტეტმა დაგეგმოს და განახორციელოს დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საინფორმაციო ღონისძიებები და ფორუმები.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების საერთაშორისო მობილობასა და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობებს. სტუდენტები სხვადასხვა პროექტების შესახებ ინფორმაციას იღებენ კორპორატიული მეილის და უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით. ინსტიტუციამ წარმოადგინა 2020-2023 წლების სტატისტიკა, სადაც ასახულია საერთაშორისო მობილობის პროგრამებით და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მაჩვენებელი, ასევე საზოგადოებრივი აქტივობების ჩამონათვალი. უნივერსიტეტის მენეჯმენტის განცხადებით მზარდია საერთაშორისო გაცვლით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი, რაც განაპირობა გაცვლითი პროექტების ზრდამ. კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას ორმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ მონაწილეობა მიუღიათ საერთაშორისო პროექტებში.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების კონფერენციებსა და სხვადასხვა კვლევით პროექტებში ჩართულობას. დასახელდა კონკრეტული პროექტები: ინკლუზიური განათლების მიმართულებით სოციოლოგიის სტუდენტები ჩართული იყვნენ საერთაშორისო პროექტში, პოლონელ უნივერსიტეტთან ერთად; ნაფიც მსაჯულთა პროექტი, ჩართულნი იყვნენ, როგორც სამართლის ასევე სხვადასხვა ფაკულტეტების სტუდენტები. საბაუნიში ფუნქციონირებს დავით ბატონიშვილის

სამართლის ინსტიტუტი, რომელიც ყოველწლიურად მართავს რთული შემთხვევების კონფერენციას სადაც ჩართულები არიან სტუდენტები. სკოლების დეკანების მიერ აღინიშნა, რომ ყოველწლიურად გამოსცემენ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებს, რომლებსაც ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ჟურნალებში სტუდენტები სამეცნიერო სტატიებს საფასურის გარეშე აქვეყნებენ.

ყოველწლიურად უნივერსიტეტი ახორციელებს სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდასაჭერად საგრანტო ფონდის გამოყოფას. რომელიც წლიდან წლამდე ცვლადია. მხარდამჭერ მიმართულებებს წარმოადგენს, - სტიპენდიები და სწავლის დაფინანსება. შიდა საუნივერსიტეტო გრანტების გარდა უნივერსიტეტში მოქმედებს პარტნიორი ორგანიზაციების სასტიპენდიო პროგრამა, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის და ჯამურად ერთი აკადემიური წლის განმავლობაში 20 სტუდენტს აღემატება.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტები ჩართულნი არიან საფაკულტეტო საბჭოს სამუშაო პროცესში. უნივერსიტეტში არის სტუდენტური თვითმართველობა, რომელსაც კონკრეტული სტუდენტური ღონისძიებების დაგეგმვისას გამოეყოფა ბიუჯეტი. სტუდენტების განცხადებით მოქმედებს სხვადასხვა სპორტული და სახელოვნებო ჯგუფები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტზე ჩატარებული გასაუბრებების შედეგები;
- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დებულება;
- სასწავლო პროცესის დებულება;
- უნივერსიტეტის რეკომენდაციების შესრულების შესახებ პასუხი;
- სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში ჩართულობის სტატისტიკა;
- საზოგადოებრივი აქტივობები;
- მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მონაცემები;
- კარიერული მხარდაჭერის სერვისები;
- 2021-2022 წწ - სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩენებლი;
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.sabauni.edu.ge/ka

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

- სასურველია უნივერსიტეტმა დაგეგმოს და განახორციელოს დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საინფორმაციო ღონისძიებები და ფორუმები.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაციებია:** **6.1.1** განხორციელდეს მეტი ტრენინგი/საინფორმაციო შეხვედრა, რათა გაიზარდოს შესაბამისი აქტორების ცნობიერება კვლევის დაგეგმვის უწყვეტი ჯაჭვის, შეფასების პროცესებისა და ხელმისაწვდომი ინსტიტუციონალური მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ. **6.1.2** გაიზარდოს აფილირებული პერსონალის რაოდენობა და საერთაშორისო გამოცემებში მათი პუბლიკაციების რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამეცნიერო საქმიანობის მაღალი რეპუტაცია. **6.1.3** უნივერსიტეტის პუბლიკაციებისთვის/პერიოდული გამოცემებისთვის ჩამოყალიბდეს სარედაქციო საბჭოები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის „ბრმა "განხილვას გარე ექსპერტების ჩართვით (ადგილობრივი და საერთაშორისო აკადემიური კოლეგები/ექსპერტები), დაწესებულების პუბლიკაციების ხარისხის შესამოწმებლად. **6.1.4** განმტკიცდეს თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან. **6.1.5** შემუშავდეს მექანიზმები იმის უზრუნველსაყოფად, რომ კვლევები, ასევე, ფოკუსირებული იქნება რეგიონულ და საერთაშორისო კონტექსტზე. **6.1.6** განხორციელდეს სტუდენტების მხარდაჭერა და წახალისება, ადგილობრივ და საერთშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით. **6.1.7** შეიქმნას საერთაშორისო პროქტების, სემინარებისა და კონფერენციების მეტი შესაძლებლობა. **6.1.8** შემუშავდეს ციტირების მაღალი ინდექსისა და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდის მექანიზმები. **6.1.9** განვითარდეს და დაინერგოს უფრო ეფექტური მექანიზმები, სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის მიზნით. **6.1.10** გაძლიერდეს თანამშრომლობა ევროპულ უნივერსიტეტებთან, განსაკუთრებით ერთობლივი კვლევების მიმართულებით. **6.1.11** გაძლიერდეს თანამშრომლობა საერთაშორისო საგანმანათლებლო/კვლევით ფონდებთან. **რეკომენდაცია 6.1.1** რეკომენდაციის შესრულების მიზნით დაწესებულებაში ტარდება ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები დაწესებულების მხრიდან პერსონალისთვის შექმნილი პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ, მათ შორის Erasmus+ საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისა და სხვადასხვა საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ. დაწესებულებაში მოქმედებს პროფესიული განვითარების

ცენტრი, რომლის მიერ ჩატარებული ტრეინინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია მოიპოვება დაწესებულების ვებ-გვერდზე https://www.sabauni.edu.ge/ka/content/chven-shesakheb/profesiuli-ganvitarebis-tsentri/siakhleebi. პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულების კვლევების განვითარების კოორდინატორი უგზავნის მათ ინფორმაციას და შეთავაზებებს სხვადასხვა პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ, მათ შორის სთავაზობს ტრეინინგებს საგრანტო განაცხადის მომზადებაში.

რეკომენდაცია 6.1.2 საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში გაზრდილია აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა. წინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად 2022 წელს დაწესებულებას ჰყავდა 107 აკადემიური (აქედან 33 აფილირებული) პერსონალი. ამჟამად, დაწესებულებას ჰყავს 68 აფილირებული პერსონალი (სულ აკადემიური პერსონალი- 125). საანგარიშო პერიოდში (2021-2023 წწ.) დაწესებულებიდან წასულია 19 აკადემიური პერსონალი, ხოლო მიღებულია 90. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდასთან ერთად საანგარიშო პერიოდში გაიზარდა მათ მიერ საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობაც (მათ შორისაა რამდენიმე პუბლიკაცია Scopus-ში): დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციათა ჩამონათვალის მიხედვით საანაგრიშო პერიოდში დაწესებულების აკადემიურმა პერსონალმა საერთაშორისო გამოცემებში გამოაქვეყნა 70-მდე პუბლიკაცია.

რეკომენდაცია 6.1.3 უნივერსიტეტში არსებული კვლევითი ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების ბაზაზე გამოიცემა 5 სამეცნიერო ჟურნალი, რომელთაგან 3 გამოიცემა უცხოურ ენებზეც (https://www.sabauni.edu.ge/ka/content/kvleva/gamomcemloba/gamocemebi/jurnalebi). ყველა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას ჰყავს უცხოელი წევრები. ჟურნალების თემატიკა ფარავს ყველა იმ დარგსა და მიმართულებას, რომელსაც უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით სწავლების სამივე საფეხურზე; ჟურნალები განთავსებულია პლატფორმაზე: https://journals.sabauni.edu.ge/. დაწესებულებამ წარმოადგინა გამოსაქვეყნებელ პუბლიკაციებზე უცხოელი შემფასებლების მიერ გაკეთებული რეცენზიის ნიმუშები.

რეკომენდაცია 6.1.4 დაწესებულებას დადებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები ადგილობრივ და უცხოურ ეკონომიკურ აგენტებთან (54 მემორანდუმი), ასევე პრაქტიკის კვლევით სამეცნიერო ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები (113 ხელშეკრულება). ექსპერტების მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა 2 ახალი საერთაშორისო მემორანდუმი. დაწესებულების დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი უნივერსიტეტთან თანამშრომლობენ ძირითადად კურსდამთავრებულთა დასაქმების კუთხით, პრაქტიკა-სტაჟირების უზრუნველყოფით და, ასევე, კვლევების კუთხით. მაგალითად დაწესებულებამ ჩაატარა უნარების/შრომის ბაზრის კვლევა და ეკონომიკიური აგენტები იყვნენ აქტიურად ჩართულები ამ კვლევაში. გარდა ამისა, სამართლის ფაკულტეტზე ეკონომიკურ აგენტებთან ერთად ერთობლივი საგრანტო პროექტები შეიქმნა და ახლა მიმდინარეობს ერთი პროექტი USAID-ის ხელშეწყობით. პროექტი ითვალისწინებს სკოლის მოსწავლეებისთვის ტრეინინგებს და სადაც ჩართული არიან დაწესებულების დოქტორანტები.

რეკომენდაცია 6.1.5 როგორც 4.1.3 რეკომენდაციის შესრულების აღწერისას აღინიშნა, უნივერსიტეტში შემუშავებულია მექნიზმები და დაწესებულია წახალისებები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოსაქვეყნებლად. ამასთან, აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის გათვალისწინებულია ერთჯერადი ფულადი პრემია scopus-ში ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებისთვის. ასევე, აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებისას (შეფასების მაქსიმალური ქულა 100 ქ.) მაღლრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში

სტატიის გამოქვეყნება შეფასებულია უფრო მაღალი ქულებით, ვიდრე ადგილობრივ ჟურნალებში პუბლიკაციები. ყოველივე ზემოთ თქმული, ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საანგარიშო პერიოდში პუბლიკაციების თემატიკა, დაწესებულების მიერ განსაზღვრული კვლევითი პრიორიტეტები უზრუნველყოფენ იმას, რომ კვლევები ფოკუსირებულია არა მხოლოდ ადგილობრივ პრობლემატიკაზე, არამედ რეგიონულ და საერთაშორისო კონტექსტზეც.

რეკომენდაცია 6.1.6 დაწესებულებას აქვს მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმები სტედენტების წასახალისებლად, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში. ერთ-ერთი ასეთია სტიპენდია, რომლის გაცემის წესი ითვალისწინებს პრეტენდენტის შეფასებას ქულებით სხვადასხვა აქტივობების მიხედვით, მათ შორის ფაკულტეტის ინიციატივით სხვადასხვა ღონისძიებში (როგორიცაა საჯარო ლექცია, კონფერენცია, ტრენინგი, სემინარი, ოლიმპიადა და სხვა დაგეგმვა-განხორციელებაში) მონაწილეობა; სტატიის გამოქვეყნება. გარდა ამისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართვას კვლევით საქმიანობაში როგორც პროფესორების ზედამხედველობის, ისე პროფესორებისა და სტუდენტების ერთობლივი კვლევების მიმართულებით.

საბაუნის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები აქვეყნებენ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებს, მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში თითოეული დოქტორანტი ეწევა მნიშვნელოვან კვლევას, რომელთა გამოქვეყნებაც უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის მიერ (https://www.sabauni.edu.ge/ka/content/kvleva/kvleviti-sakmianoba). დოქტორანტებისთვის მოქმედებს კვლევითი უნარების განმავითარებელი ღონისძიებები, ასევე სპეციალური მცირე კვლევითი გრანტები და სტიპენდიები. უნივერისიტეტის პერსონალს და სტუდენტებს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებათ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების შესახებ, დაინტერესებულ პირებს უტარდებათ ინდივიდუალური კონსულტაციები. უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს კვლევითი საქმიანობის განმავითარებელ ღონისძიებებს, ტრენინგებს კვლევითი პროექტის წერის, საგრანტო პროექტის მართვის, სამეცნიერო წყაროების მოძიების, აკადემიური ონლაინპლატფორმების შესახებ.

დაწესებულების ადმინისტრაციულ, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების, ასევე, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი დამატებითი მასალის და დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა შემდეგი გარემოებები: უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ღონისძიებებზე არის სავალდებულო სტუდენტური/ახალგაზრდა მკვლევარების პანელები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ წარადგინონ მოხსენებები, გამოიცემა საუკეთესო სამაგისტრო ნაშრომები პუბლიკაციების სახით. დაწესებულებაში გამოიცემა სტუდენტების ჟურნალი, სტუდენტებს სთავაზობენ ლექტორებთან ერთად გააკეთონ ერთობლივი კვლევები და თარგმანები, რომლებიც გამოიცემა დაწესებულების მიერ. დაწესებულებაში ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტური თემატური კონფერენციები, რომელთა მასალების კრებული გამოიცემა დაწესებულების მიერ. დაწესებულებაში საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა საერთაშორისო კვლევითი პროექტები, რომელშიც ჩართული იყვნენ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები. ამასთან, სტუდენტების წასახალისებლად დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს მონაწილეობის მიღებას გაცვლით პროგრამებსა და საზაფხულო სკოლებში.

რეკომენდაცია 6.1.7 როგორც რეკომენდაციების 6.1.5, 6.1.6 და 4.1.3 რეკომენდაციის შესრულების აღწერისას აღინიშნა, ტარდება ყოველწლიური მუდმივმოქმედი საერთაშორისო თემატური კონფერენციები. 2023 წელს ჩატარებულია ექვსი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენია, 2022

წელს-სამი , ხოლო 2020- ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (https://www.sabauni.edu.ge/ka/content/kvleva/saertashoriso-konferenciebi). 2023 წელს უკვე დასრულებულია ხუთი კვლევითი პროექტი (https://www.sabauni.edu.ge/ka/content/kvleva/kvleviti-proeqtebi/dasrulebuli-kvleviti-proeqtebi). ამასთან, ხდება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის წახალისება, მაგალითად, უნივერსიტეტში შემუშავებულია მექნიზმები და დაწესებულია წახალისებები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოსაქვეყნებლად. ამასთან, აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის გათვალისწინებულია ერთჯერადი ფულადი პრემია scopus-ში ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებისთვის. ასევე, აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებისას (შეფასების მაქსიმალური ქულა 100 ქ.) მაღლრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნება შეფასებულია უფრო მაღალი ქულებით, ვიდრე ადგილობრივ ჟურნალებში პუბლიკაციები.

რეკომენდაცია 6.1.8 როგორც 4.1.3 რეკომენდაციის შესრულების აღწერისას აღინიშნა, უნივერსიტეტში შემუშავებულია მექანიზმები და დაწესებულია წახალისებები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოსაქვეყნებლად. ამასთან, პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესის თანახმად, პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შესაფასებლად გაითვალისწინება ციტირების მაღალი ინდექსისა და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობა და პერსონალის ციტირების ინდექსები. დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ციტირების ინდექსები აქვს 13 აკადემიურ პერსონალს (მათ შორის სკოპუსში ციტირების ინდექსები აქვს 8 პერსონალს, გუგლსქოლარში - 10 პერსონალს, ხოლო ორივე მათგანში-5 აკადემიურ პერსონალს).

რეკომენდაცია 6.1.9 როგორც რეკომენდაციის 6.1.6 შესრულების აღწერისას აღინიშნა, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ღონისძიებებზე არის სავალდებულო სტუდენტური/ახალგაზრდა მკვლევარების პანელები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ წარადგინონ მოხსენებები, გამოიცემა საუკეთესო სამაგისტრო ნაშრომები პუბლიკაციების სახით. დაწესებულებაში გამოიცემა სტუდენტების ჟურნალი, სტუდენტებს სთავაზობენ ლექტორებთან ერთად გააკეთონ ერთობლივი კვლევები და თარგმანები, რომლებიც გამოიცემა დაწესებულების მიერ. დაწესებულებაში ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტური თემატური კონფერენციები, რომელთა მასალების კრებული გამოიცემა დაწესებულების მიერ. დაწესებულებაში საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა საერთაშორისო კვლევითი პროექტები, რომელშიც ჩართული იყვნენ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები. ამასთან, სტუდენტების წასახალისებლად დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს მონაწილეობის მიღებას გაცვლით პროგრამებსა და საზაფხულო სკოლებში.

რეკომენდაცია 6.1.10 დაწესებულება თანამშრომლობს არაერთ ევროპულ უნივერსიტეტთან, გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები და დაწესებულების აკადემიური პერსონალი, ასევე, სტუდენტები ჩართული არიან ერთობლივ კვლევით პროექტებში. ამჟამად დაწესებულების პერსონალი ჩართულია მიმდინარე 10 კვლევით პროექტში, მათ შორის ევროპულ უნივერსიტეტებთან ერთობლივ გრანტებით დაფინანსებულ პროექტებში (დეტალური ინფორმაცია პერსონალის, გრანტის დასახელების და პროექტის ვადების შესახებ განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე https://www.sabauni.edu.ge/ka/content/kvleva/kvleviti-proeqtebi).

ევროპულ უნივერსიტეტებთან ეთანამშრომლობით განხორციელებული კვლევითი აქტივობების მაგალითებია: ა) უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანი ჩართულია ამერიკელ, პოლონელ და უკრაინელ მეცნიერებთან ერთად, ორწლიან კვლევით პროექტში - "Legal analysis of Russia`s Activities in Ukraine" მონაწილეობს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ცხრა საერთაშორისო სემინარისა და ორი საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება, ასევე რამდენიმე სამართლებრივი

დოკუმენტის პროექტის მომზადება და პუბლიკაციის გამოცემა. პროექტს პოლონეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი ახორციელებს. პროექტი 20 ნოემბერს საერთაშორისო სემინარით გაიხსნა (https://www.sabauni.edu.ge/ka/news/samartlis-fakultetis-dekani-ortslian-kvlevit-proeqtshi-monatsileobs3487469); ბ) სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორებმა სამეცნიერო კვლევის შედეგები წარადგინეს.
Comparative Research Platform-ის ფარგლებში, რომელიც პოლონეთის იუსტიციის სამინისტროს კვლევითმა ინსტიტუტმა განახორციელა. პროექტში აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის 8 სახელმწიფოს პროფესორები იყვნენ ჩართულნი. საქართველოდან პროექტში მხოლოდ საბაუნის პროფესორები მონაწილეობდნენ (https://www.sabauni.edu.ge/ka/news/samartlis-fakultetis-profesorebma-samecniero-kvlevis-shedegebi-tsaradgines1511574) ; გ) 2023 წლის 13-17 ნოემბერს, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში რიგით მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კვირეული გაიმართა, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტმა უმასპინძლა პროფესორებს საფრანგეთიდან, ამერიკიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, უკრაინიდან და იორდანიიდან (https://www.sabauni.edu.ge/ka/news/saertashoriso-samecniero-kvireuli-sabaunishi1405634); დ) 2023 წლის 16 ნოემბერს, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და განვითარების კვლევების ინსტიტუტის ორგანიზებით, ჩატარდა განვითარების კვლევების მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის შესაძლებლობები: კვლევები და განვითარება“. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები, მათ შორის პროფესორები პოლონეთის, უკრაინის, ბულგარეთის, ეთიოპიის, საუდის არაბეთის, განის, უზბეკეთისა და ირანის უნივერსიტეტებიდან (https://www.sabauni.edu.ge/ka/news/ganvitarebis-kvlevebis-me-6-saertashoriso-samecniero-konferencia-2023226777) და სხვ.

რეკომენდაცია 6.1.11 როგორც რეკომენდაციის 6.1.10 შესრულების აღწერაშია აღნიშნული, დაწესებულების აკადემიური პერსონალი, ასევე, სტუდენტები ჩართული არიან ერთობლივ კვლევით პროექტებში. ამჟამად დაწესებულების პერსონალი ჩართულია მიმდინარე 10 კვლევით პროექტში, მათ შორის საერთაშორისო საგანმანათლებლო/კვლევით ფონდების გრანტებით დაფინანსებულ პროექტებში (დეტალური ინფორმაცია პერსონალის, გრანტის დასახელების და პროექტის ვადების შესახებ განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე https://www.sabauni.edu.ge/ka/content/kvleva/kvleviti-proeqtebi).

ამასთან, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ხორციელდება ორმხრივი და მრავალმხრივი გაცვლითი პროექტები. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობს რუსთაველის ფონდისა და DAAD-ის ერთობლივ კვლევით სტიპენდიებში, USAID-ის, KAAD-ის, IRZ-ისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე პოლონეთისა და სლოვაკეთის სახელმწიფო კვლევით კონკურსებსა და საგრანტო პროექტებში. მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობაა ნოტრ დამის უნივერსიტეტი (ინდიანა, აშშ) ნანოვიკის ინსტიტუტთან, რომლის ფარგლებშიც წელიწადში რამდენიმე მკვლევარი მონაწილეობს მენდოზას ბიზნესის სკოლის მასშტაბურ „ლიდერობის სკოლაში “, ხოლო წელიწადში ერთი მკვლევარი მაინც იღებს კვლევით სტიპენდიას კვლევის ნოტრ დამის უნივერსიტეტში გასახორციელებლად. ყოველწლიურად ათობით მკვლევარს მასპინძლობს უნივერსიტეტი, რის შედეგადაც უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთად იგეგმება ერთობლივი ღონისძიებები, კვლევითი აქტივობები, მათ შორის, იხსნება უცხოურ აკადემიურ ჟურნალებში ნაშრომების უსასყიდლოდ გამოქვეყნების შესაძლებლობები. ასეთი თანამშრომლობის შედეგია საბაუნის პროფესორებისთვის ექსკლუზიური შესაძლებლობები ისარგებლონ კომენიუსის უნივერსიტეტის, ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტის, უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტი, რუჟომ ბეროკის უნივერსიტეტის და ა.შ. სამართლის, რელიგიის კვლევების, ბიზნესის და სხვა სფეროების ჟურნალებში სტატიათა გამოქვეყნებით (https://www.sabauni.edu.ge/ka/content/kvleva/kvleviti-sakmianoba).

ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების წლიური ანგარიში (2022-2023 აკადემიური წელი);
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- პერსონალის პროფესიული რეზიუმეები;
- აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურის ჩატარების დებულება;
- პროფესიული განვითარების ღონისძიებების ჩამონათვალი;
- განხორციელებული საინფორმაციო შეხვედრების ჩამონათვალი;
- დასკვნა აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების შესახებ;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების ინდექსი;
- მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან;
- პრაქტიკის კვლევით სამეცნიერო ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები;
- დაწესებულების ბიუჯეტი (2022-2023 სასწავლო წელი);
- დაფინანსების ბოლო 5 წლის დინამიკა;
- მიზნობრივი გრანტები და პუბლიკაციები გაწეული ხარჯების მითითებით;
- ფინანსური ანგარიშგება 2020 წ.;
- ფინანსური ანგარიშგება 2021 წ.;
- სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასების და ხელშეწყობის წესი;
- აკადემიური პერსონალის წლიური სამეცნიერო დატვირთვის შესრულებისათვის ერთჯერადი ფულადი პრემიის განსაზღვრის წესი;
- ერთობლივი/საერთაშორისო კვლევითი პროექტების ჩამონათვალი;
- გამოსაქვეყნებელ პუბლიკაციებზე უცხოელი შემფასებლების მიერ გაკეთებული რეცენზიის ნიმუშები;
- საანგარიშო პერიოდში პუბლიკაციების თემატიკა;
- დაწესებულების აფილირებული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშები (2021-2022 წწ.);
- ანგარიში 2022-2023 სასწავლო წლის საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევითი პრიორიტეტებისა და ძირითადი მიმართულებების შესახებ;
- აკადემიური პერონალის საერთაშორისო კონფერენციების/ პროექტების/პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- დაგეგმილი და მიმდინარე კვლევითი პროექტები;
- ერთობლივი კვლევითი აქტივობებისა და თანამშრომლობის ჩამონათვალი;
- სტუდენტების მხარდაჭერის და წახალისების დამადასტურებელი მასალა;
- მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მონაცემები;
- სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში ჩართულობის სტატისტიკა;
- საერთაშორისო გამოცემებში პუბლიკაციების რაოდენობა;
- პერსონალის ციტირების ინდექსების მონაცემები;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციისა და აკადემიური საბჭოს წარმომადგენლებთან, კვლევითი ცენტრებისა და ინსტიტუტების წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან. კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;
- დაწესებულების ვებ-გვერდი https://www.sabauni.edu.ge/ka.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაციებია:

6.2.1 საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად წარდგენილი კვლევითი განაცხადებისთვის განიმარტოს შეფასების კრიტერიუმები.

6.2.2 გააძლიერდეს კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის გარე დაფინანსების მოსაპოვებელი მხარდაჭერის მექანიზმები.

6.2.3 შემუშავდეს დასაქმების უფრო მკაფიო პოლიტიკა, მაღალკვალიფიციური მკვლევარების მოზიდვის და გაიზარდოს მათი ჩართულობა სამეცნიერო საქმიანობაში მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით.

6.2.4 განხორციელდეს ერთობლივ საერთაშორისო პროექტებში და საერთაშორისო კვლევითი გრანტების მოპოვებაში აფილირებული აკადემიური პერსონალის ჩართულობის წახალისება, გაიზარდოს საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობა აღიარებულ სამეცნიერო ჟურნალებში; მოხდეს უცხოელი პარტნიორების მოწვევა ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაციების შექმნის პროცესში.

6.2.5 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების ინიცირება განხორციელდეს თანახელმძღვანელობის სქემით, რათა გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობისა და კვლევითი ნაშრომების ხარისხი.

რეკომენდაცია 6.2.1 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად წარდგენილი კვლევითი განაცხადის შესაფასებლად კრიტერიუმები, რომელიც გაწერილია სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასების და ხელშეწყობის წესში, კერძოდ: როგორც წესი, კვლევის დაფინანსებისთვის განაცხადის განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილია 10 დღიანი ვადა. განაცხადის განხილვისას იგი ფასდება საბჭოს წევრის ან სპეციალურად დანიშნული ექსპერტის მიერ, რომელიც წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებას წერილობით. შიდასაუნივერსიტეტო გრანტებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად, როგორც წესი, ცხადდება ღია კონკურსი.

კვლევითი პროექტის შეფასების კომპონენტებია: პროექტის კვლევითი ღირებულება, პროექტის კვლევითი ეფექტიანობა და პროექტის განხორციელება. შეფასების თითოეული კომპონენტი შედგება ქვეკომპონენტებისგან. 2. პროექტის კვლევითი ღირებულების ქვეკომპონენტებია: ა) პროექტის შინაარსი და მნიშვნელობა ბ) საკვლევი საკითხის აქტუალურობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა გ) კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან დ) მკვლევართა კომპეტენცია 3. კვლევითი ეფექტიანობის ქვეკომპონენტებია: ა) კვლევის მოსალოდნელი შედეგების რეალურობა და პრაქტიკული ღირებულება ბ) კვლევის მოსალოდნელი შედეგების კვლევითი ღირებულება გ) კვლევის შედეგების გავრცელების გეგმა, მეთოდოლოგია და

ინდიკატორები 4. პროექტის განხორციელების ქვეკომპონენტებია: ა) პროექტის განხორციელების გეგმის, ეტაპებისა და გრაფიკის (ვადების) რეალურობა და ეფექტიანობა ბ) პროექტის ბიუჯეტის გაანგარიშება და მიმართება პროექტის მოსალოდნელ შედეგებთან გ) პროექტის განხორციელების შესაძლო რისკები და მათთან გამკლავების საშუალებები.

პროექტი შეიძლება შეფასდეს არაუმეტეს 100 ქულით, აქედან მაქსიმუმ 40 ქულით ფასდება პროექტის კვლევითი ღირებულება, 30-30 ქულით - პროექტის კვლევითი ეფექტიანობა და პროექტის განხორციელება. 2. თითოეული ქვეკომპონენტი ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით, შემდეგი პრინციპით: 10 ქულა - პროექტი სრულად პასუხობს შეფასების კომპონენტის შინაარსს 9 ქულა - პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს შეფასების კომპონენტის შინაარსს, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა 7-8 ქულა - პროექტი მთლიანობაში კარგად პასუხობს შეფასების კომპონენტის შინაარსს, თუმცა აქვს გარკვეული ხარვეზები, რომლებიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს 5-6 ქულა - პროექტი ზოგადად პასუხობს შეფასების კომპონენტის შინაარსს, თუმცა აქვს მნიშვნელოვანი ხარვეზები, უზუსტობები და სუსტი მხარეები 3-4 ქულა - პროექტი, მართალია, ძალზე ზოგადად პასუხობს შეფასების კომპონენტის შინაარსს, თუმცა მეტწილად აცდენილია მოთხოვნებს, აქვს მნიშვნელოვანი ხარვეზები, უზუსტობები და სუსტი მხარეები 1-2 ქულა - პროექტი არაადეკვატურად, ძალზე ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, აღენიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები, უზუსტობები, ინფორმაცია მეტწილად მცდარი. 0 ქულა - პროექტი არ პასუხობს კომპონენტის შინაარსს.

რეკომენდაცია 6.2.2 როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასების და ხელშეწყობის წესში. ამ წესის თანახმად, პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასებისას გარე დაფინანსებით მიღებული კვლევითი პროექტების შემთხვევაში აკადემიურ პერსონალს ეწერება მაღალი ქულები. გარე დაფინანსებისთვის მოპოვების მცდელობაც კი წახალისებულია დაწესებულების მიერ, კერძოდ: აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო საქმიანობის შეფასებისას ქულები ეწერება არა მხოლოდ გამარჯვების/გრანტის მიღების შემთხვევაში, არამედ საგრანტო პროექტრის წარდგენის შემთხვევაშიც კი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით პროექტებში უნივერსიტეტის ჩართულობის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და მკვლევრების ინფორმირებულობასა და კვლევითი პროექტებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერას. უნივერისიტეტის პერსონალს და სტუდენტებს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებათ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების შესახებ, დაინტერესებულ პირებს უტარდებათ ინდივიდუალური კონსულტაციები. უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს კვლევითი საქმიანობის განმავითარებელ ღონისძიებებს, ტრენინგებს კვლევითი პროექტის წერის, საგრანტო პროექტის მართვის, სამეცნიერო წყაროების მოძიების, აკადემიური ონლაინპლატფორმების შესახებ (https://www.sabauni.edu.ge/ka/content/kvleva/kvleviti-sakmianoba).

რეკომენდაცია 6.2.3 დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც განახლებულია 2022 წლის სექტემბერში. აკადემიური პერსონალის მოზიდვის საშუალებას წარმოადგენ მხოლოდ გარე რეკრუტირება. გარე რეკრუტირების ფორმას წარმოადგენს კანდიდატის შერჩევა ღია და გამჭვირვალე კონკურსის გზით. აკადემიურ თანამდებობებზე არჩევა ხდება მხოლოდ ღია კონკურსის წესით კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით საკონკურსო თანამდებობასთან. თანამშრომლის სამსახურში აყვანის შემდეგ მან უნდა გაიაროს ადაპტაციის პროცედურა, რომელიც განსაზღვრულია „ახალი თანამშრომლების ადაპტაციის პროცედურის“ თანახმად. მაღალკვალიფიციური მკვლევარების მოზიდვის და მათი სამეციერო კვლევაში ჩართულობის

გაზრდის მიზნით დაწესებულება აცხადებს კონკურსებს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსები ძირითადად ცხადდება აფილირებით. საკონკურსო კომისიის ერთ-ერთი წევრი აუცილებლად არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი. ამჟამად დაწესებულებაში გამოცხადებულია კონკურსი სამართლის და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით.

ამასთან, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების სქემაში გაიზარდა სამეცნიერო საქმიანობისთვის მინიჭებული ქულების ხვედრითი წელი. აფილირებული პერსონალი ყოველწლიურად წარმოადგენს სამეცნიერო ანგარიშებს. შედეგები გაანალიზდება და განიხილება აკადემიურ საბჭოზე. შემდეგ შედეგები იგზავნება ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში. დაწესებულებას აქვს სამეცნიერო სქმიანობაში პერსონალის ჩართულობის წახალისების მექანიზმები: წლიური სამეცნიერო დატვირთვის გადაჭარბებით შესრულებისთვის დაწესებულებას აქვს პერსონალის ფინანსური წახალისების გაცემის წესი და დამკვიდრებული პრაქტიკა. დაწესებულება ასევე ზრუნავს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და სთავაზობს მათ მხარდაჭერის სხბვადასხვა ინსტრუმენტებს.

რეკომენდაცია 6.2.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და შესაბამისი მექანიზმები. ინტერნაციონალიზაცია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. დღეისათვის უნივერსიტეტი სხვადასხვა პროექტის ფარგლებში (გაცვლითი პროგრამა, ერთობლივი პროექტი, Erasmus+ ICM, Erasmus+ KA2) 21 ქვეყნის 50 უნივერსიტეტთან თანამშრომლობს. დაარსების დღიდან აქტიურად თანამშრომლობს უცხოურ უნივერსიტეტებსა და პროფესორებთან, საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმების, საჯარო ლექციების თუ სემინარების სახით https://www.sabauni.edu.ge/ka/content/internatsionalizatsia/saertashoriso-urtiertobebi).

საანაგრიშო პერიოდში გაიზარდა აკადემიური პერსონალის მიერ საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა (მათ შორისაა პუბლიკაციები Scopus-ში): საანაგრიშო პერიოდში დაწესებულების აკადემიურმა პერსონალმა საერთაშორისო გამოცემებში გამოაქვეყნა 70-მდე პუბლიკაცია. უნივერსიტეტში შემუშავებულია მექნიზმები და დაწესებულია წახალისებები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოსაქვაყნებლად. დაწესებულებაში ტარდება ყოველწლიური მუდმივმოქმედი საერთაშორისო თემატური კონფერენციები. 2023 წელს ჩატარებულია ექვსი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენია, 2022 წელს-სამი, ხოლო 2020 წელს-ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. უნივერსიტეტში შემუშავებულია მექანიზმები და დაწესებულია წახალისებები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოსაქვეყნებლად. ამასთან, პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შესაფასებლად გაითვალისწინება ციტირების მაღალი ინდექსისა და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობა და პერსონალის ციტირების ინდექსები.

ამასთან, დაწესებულება თანამშრომლობს არაერთ ევროპულ უნივერსიტეტთან, გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები და დაწესებულების აკადემიური პერსონალი, ასევე, სტუდენტები ჩართული არიან ერთობლივ კვლევით პროექტებში. ამჟამად დაწესებულების პერსონალი ჩართულია მიმდინარე 10 კვლევით პროექტში, მათ შორის ევროპულ უნივერსიტეტებთან ერთობლივ გრანტებით დაფინანსებულ პროექტებში. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობს რუსთაველის ფონდისა და DAAD-ის ერთობლივ კვლევით სტიპენდიებში, USAID-ის, KAAD-ის, IRZ-ისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე პოლონეთისა და სლოვაკეთის სახელმწიფო კვლევით კონკურსებსა და საგრანტო პროექტებში. მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობაა ნოტრ დამის უნივერსიტეტი (ინდიანა, აშშ) ნანოვიკის

ინსტიტუტთან (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. რეკომენდაციების 6.1.2-6.1.11 შესრულების აღწერა).

რეკომენდაცია 6.2.5 დაწესებულებაში მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე, რათა ის გახდეს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა, მიღებულია პრინციპული თანხმობა გვაქვს პარტნიორი დაწესებულებიდან. ამასთან, დაწესებულება გეგმავს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ერთობლივი პროგრამის შექმნას. მოცემულ ეტაპზე ეს პროცესები ჯერ-ჯერობით დასრულებული არ არის. ამდენად, ესპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას მოცემული რეკომენდაცია მიიჩნიოს სრულად შესრულებულად. რეკომენდაცია **6.2.5 შესრულებულია მეტწილად. შესაბამისად, 2020 წელს ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია** – ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების ინიცირება განხორციელდეს თანა-ხელმძღვანელობის სქემით- რცება მოცემულ ეტაპზეც.

რეკომენდაციები შესრულებულია (გარდა რეკომენდაციისა 6.2.5, რომელიც შესრულებულია მეტწილად). მთლიანობაში სტანდარტში 6.2 გაცემული რეკომენდაციები უდიდესი ნაწილილი შესრულებულია, შესაბამისად, სტანდარტი 6.2 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების წლიური ანგარიში (2022-2023 აკადემიური წელი);
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- პერსონალის პროფესიული რეზიუმეები;
- აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურის ჩატარების დებულება;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- პროფესიული განვითარების ღონისძიებების ჩამონათვალი;
- განხორციელებული საინფორმაციო შეხვედრების ჩამონათვალი;
- დასკვნა აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების შესახებ;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების ინდექსი;
- მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან;
- პრაქტიკის კვლევით სამეცნიერო ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები;
- დაწესებულების ბიუჯეტი (2022-2023 სასწავლო წელი);
- დაფინანსების ბოლო 5 წლის დინამიკა;
- მიზნობრივი გრანტები და პუბლიკაციები გაწეული ხარჯების მითითებით;
- ფინანსური ანგარიშგება 2020 წ.;
- ფინანსური ანგარიშგება 2021 წ.;
- სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასების და ხელშეწყობის წესი;
- აკადემიური პერსონალის წლიური სამეცნიერო დატვირთვის შესრულებისათვის ერთჯერადი ფულადი პრემიის განსაზღვრის წესი;
- ერთობლივი/საერთაშორისო კვლევითი პროექტების ჩამონათვალი;
- გამოსაქვეყნებელ პუბლიკაციებზე უცხოელი შემფასებლების მიერ გაკეთებული რეცენზიის ნიმუშები;
- საანგარიშო პერიოდში პუბლიკაციების თემატიკა;
- დაწესებულების აფილირებული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშები (2021-2022 წწ.);
- ანგარიში 2022-2023 სასწავლო წლის საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევითი პრიორიტეტებისა და ძირითადი მიმართულებების შესახებ;
- აკადემიური პერონალის საერთაშორისო კონფერენციების/ პროექტების/პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- დაგეგმილი და მიმდინარე კვლევითი პროექტები;
- ერთობლივი კვლევითი აქტივობებისა და თანამშრომლობის ჩამონათვალი;
- სტუდენტების მხარდაჭერის და წახალისების დამადასტურებელი მასალა;

- მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მონაცემები;
- სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში ჩართულობის სტატისტიკა;
- საერთაშორისო გამოცემებში პუბლიკაციების რაოდენობა;
- პერსონალის ციტირების ინდექსების მონაცემები;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციისა და აკადემიური საბჭოს წარმომადგენლებთან, კვლევითი ცენტრებისა და ინსტიტუტების წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან. კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;
- დაწესებულების ვებ-გვერდი https://www.sabauni.edu.ge/ka.

რეკომენდაციები:

-

- ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების ინიცირება განხორციელდეს თანა-ხელმძღვანელობის სქემით.

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის დროს გაცემული რეკომენდაციაა:

- გაძლიერდეს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები და მათთან აფილირებული აკადემიური პერსონალის ცნობიერება შეფასების პროცედურებთან, ღირებულებებთან/ეფექტურობასთან და შედეგებთან დაკავშირებით.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი ერთეულები წარმოადგენილია შემდეგი ინსტიტუციების სახით:

● ეკლესიის სოციალური სწავლების ცენტრი;

● თეოლოგიისა ფილოსოფიის ინსტიტუტი;

● დანაშაულისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ცენტრი;

● დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი;

● განვითარების კვლევების ინსტიტუტი;

● ანტიდისკრიმინაციული სამართლის ცენტრი;

● ფსიქოლოგიის კვლევითი ცენტრი;

● მიშელ მუსხელის ევროპული კვლევების ცენტრი

აღნიშნული ცენტრების და ლაბორატორიების მუშაობაში ჩართულნი არიან უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და დოქტორანტები, ხარისხის მაღტვის სამსახური და აკადემიური კვლევის დაგეგმვის და განვითარების მენეჯერი. უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული ანგარიშის სპეციალური ფორმა „სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასებისა და ხელშეწყობის წესი“, რომელსაც ინდივიდუალურად ეგზავნება თითოეულ აკადემიურ აფილირებულ პერსონალს. აღნიშნული წესი საჯაროდაა განთავსებული უნივერსიტეტის საიტზე და ხელმისაწვდომია ყველასთვის.

სასწავლო წლის ბოლოს პერსონალი წარადგინს წლიური ანგარიშს გაწეული სამეცნიერო-კველევითი საქმიანობის შესახებ. აღნიშნული მონაცემები სათანადო ანალიზის შემდეგ წარედგინება ფაკულტეტებსა და აკადემიურ საბჭოს. აკადემიური აფილირებული პერსონალი ხელშეკრულების დადების დღიდან მუდმივად ამ პროცესების მონაწილეა, მისთვის ცნობილია ასევე ის შედეგები, რაც შეიძლება დადგეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

სამეცნიერო და აკადემიური აქტივობების წლიური ანგარიშების შესრულება ექვემდებარება შესაბამის პერიოდში განხორციელებული აქტივობების ქულებით შეფასებასა და დაჯამებას.

რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- “სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასების და ხელშეწყობის წესი”;
- ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების ჩამონათვალი;
- დასკვნა აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების შესახებ;
- სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასების და ხელშეწყობის წესი;
- აკადემიური პერსონალის წლიური სამეცნიერო დატვირთვის შესრულებისათვის ერთჯერადი ფულადი პრემიის განსაზღვრის წესი;
- ერთობლივი/საერთაშორისო კვლევითი პროექტების ჩამონათვალი;
- დაწესებულების ვებ-გვერდი https://www.sabauni.edu.ge/ka
- ინერტვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: 7.1 საევაკუაციო გასასვლელი კარი არ უნდა იყოს დამზადებული რკინისგან, უსდ-მ ის უნდა შევცვალოს; გარდა ამისა, იგი შიგნიდან გარეთ უნდა იღებოდეს; 7.2 არქივისთვის განკუთვნილი სივრცე საკმარისი არ არის, უსდ-მ იგი უნდა გააფართოვოს. აღნიშნული სივრცე უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ საარქივო მიზნებისთვის და არა როგორც ზოგადი სასაწყობე ოთახი; 7.3 სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე დასკვნა და რეკომენდაციები უნდა გაიცეს უფლებამოსილი სააგენტოს მიერ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ვიზიტის დროს შემოწმდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი დასრულების ეტაპზეა და დამდეგი სემესტრიდან შევა ექსპლუატაციაში. შენობა აშენებულია თანამდროვე სტანდარტების შესაბამისად და აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მოიცავს სტუდენტთა საცხოვრებელ ოთახებს, სტუდენტურ სივრცეებს, სტუმართა საცხოვრებელ ოთახებს. სასწავლო კორპუსში არის აუდიტორიები, დარბაზი, საგამოცდო სივრცე, იმიტირებული სასამართლო ოთახი, ბიბლიოთეკა, სტუდენტური სივრცეები, კაფეტერია, ადაპტირებული გარემო. **რეკომენდაცია 7.1.** უნივერსიტეტმა რეკომენდაციის შესაბამისად შეცვალა რკინის საევაკუაციო გასასვლელი კარი მეტალოპლასტმასის კარით, რომელიც იღება შიგნიდან გარეთ. **რეკომენდაცია 7.2.** არქივისთვის უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს ოთახი, სადაც მოწესრიგებულადაა დალაგებული საარქივო მასალა. ძირითადი მასალები ელექტრონული სახით აქვს უნივერსიტეტს შენახული. ასევე, ცალკე არსებობს სასაწყობო სივრცე. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რის მიხედვითაც ხდება საქმისწარმოება. **რეკომენდაცია 7.3.** უნივერსიტეტმა წარმოადგინა საგანგებო სიტაუაციების მართვის სამსახურის მიერ 2020 წლის 19 ნოემბერს გაცემული დასკვნა სახანძრო-ტექნიკური შემოწმების გამოკვლევის შესახებ. ამ დასვნის შედეგად შემაჯამებელი შეფასება პოზიურია. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ცეცხლმაქრების დატენვის ვადა, რომელიც ყველა შემთხვევაში იყო მოქმედი. **ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - ვიზიტისას დათვალიერების შედეგები; - საქმისწარმოების წესი;

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი.
- დათვალიერების შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაცია:
დაქირავებულ იქნას შესაბამისი სამუშაო გამოცდილების მქონე ბიბლიოთეკარი.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში მოქმედი ბიბლიოთეკა მოიცავს შემდეგ სივრცეებს: წიგნსაცავი, სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცე, ჯგუფური მუშაობის სივრცე. სამკითხველო დარბაზში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, პრინტერი და ასლის გადამღები-სკანერის აპარატი. ბიბლიოთეკაში დასაქმებულია სამი ბიბლიოთეკარი, რომელთა კვალიფიკაციაც და სამუშაო გამოცდილებაც აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მიერ ამ პოზიციისთვის დადგენილ, წაყენებულ მოთხოვნებსა და სტანდარტს. თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი ინდივიდუალური პროფესიული უნარები და გამოცდილება, რაც დასტურდება მათი სამუშაო გამოცდილებით და წარდგენილი პროფესიული სერთიფიკატებით. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას ზრუნავს ბიბლიოთეკის განვითარებაზე.

უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებთ შემუშავებულია ბიბილიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარების სტრატეგია და განახლების მექანიზმები. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს 15863 საბიბლიოთეკო წიგნის ერთეულს, ჟურნალებს და რიდერებს, რომელიც სისტემატიურად მდიდრდება უნივერსიტეტის მიერ შეძენილი ახალი წიგნებით, ბიბლიოთეკის ფონდი, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული, შეესაბამება სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას.

უნივერიტეტის მეილის მეშვეობით შესაძლებელია წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე. უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდზე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგი. დაწესებულებამ წარმოადგინა ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა, კერძოდ Ebsco, HeinOnline, Elsevier Science, მონაცემთა ბაზების გამოყენების სტატისტიკა.

რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტზე ჩატარებული გასაუბრებების შედეგები;
- ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა;
- უნივერსიტეტის რეკომენდაციების შესრულების შესახებ პასუხი;
- ბიბილიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარების სტრატეგია და განახლების მექანიზმები;
- წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის მასალები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.sabauni.edu.ge/ka

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაცია:

ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის შემუშავებასა და განხილვაში ჩართულ იქნას ყველა დაინტერესებული მხარე.

რეკომენდაცია 7.3. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა წარმოადგინა განახლებული ბიზნეს უწყვეტობის გეგმა. გეგმა ასახავს მიზანს, რატომაა ის შემუშავებული, ასევე წარმოდგენილია ამოცანები.რისკების შესახებ ცალკე შემუშავებულია რისკების ზეგავლენის დონის განსაზღვრის მატრიცა. წარმოდგენილია უწყვეტობის სტრატეგია ბუნებრივი კატასტროფების, კიბერ შეტევების, ტექნოლოგიური რისკების, შენობის მიზნობრივი დაზიანება/განადგურების და სხვა მიზეზებისათვის გასატარებელი ღონისძიებების და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მითითებით. ამ დოკუმენტის თანახმად, გეგმის განხორციელებაში ჩართულია უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები. როგორც ინტერვიუებიდან იკვეთება, ამ გეგმის შემუშავებაში და განხილვებში ჩართული იყო შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა;

- რისკის ზეგავლენის დონის განსაზღვრის მატრიცა;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაციებია:

7.4.1. დაწესებულებამ უნდა გაზარდოს კვლევების ბიუჯეტი;

7.4.2. სასურველია მეტი გამჭვირვალობა ბიუჯეტის დაგეგმვის კუთხით, კერძოდ, ინტერნაციონალიზაციასა და ადმინისტრაციას შორის გადაკვეთასთან დაკავშირებით.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია, არსებობს დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები, რომლებიც რისკების მართვას უზრუნველყოფს ადეკვატურად და ეფექტურად; უნივერსიტეტის ფინანსური რესურსი ადეკვატური და საკმარისია, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობები ეფექტურად შესრულდეს; ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სწავლა-სწავლების/კვლევების/სახელოვნებო- შემოქმედებითი საქმიანობის, ადამიანური რესურსების/ინფრასტრუქტურის მდგრადი და შემდგომი განვითარება.

სამეცნიერო კვლევების განხორციელებისათვის არსებობს შესაბამისი და საკმარისი ფინანსური რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა პირისთვის თანაბარ პირობებში; შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტების გაცემული **რეკომენდაცია:** დაწესებულებამ უნდა გაზარდოს კვლევების ბიუჯეტი;

რეკომენდაცია შესრულებულია: სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების დაფინანსება მზარდია, როგორც ბოლო 5 წლის განმავლობაში. სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების დაფინანსების ბოლო წლების დინამიკის გათვალისწინებით, კვლევებზე გაწეული ხარჯები მზარდია წლიდან წლამდე: 2018/2019 – 199,768 ლარი; 2019/2020 – 214,049 ლარი; 2020/2021 – 396,981 ლარი; 2021/2022 – 343,787 ლარი. ასევე უნივერსიტეტმა წარმოადგინა დეტალური ასიგნება სამეცნიერო-კვლევით აქტივობებისთვის გამოყოფილი და დახარჯული თანხებისა, პერსონალის კომფერენციებში მონაწილების, სამეცნიერო კვლევების დაფინანსების, გრანტებთან და პროექტებთან დაკავშირებული ხარჯები, სამეცნიერო მივლინების და სხვა. რაც ნათლად წარმოაჩენს გაზრდილი სამეცნიერო-კვლევითი დაფინანსების მიზნობრიობას. კვლევების ხარჯების თანაფარდობა უსდ-ს მთლიან ბიუჯეტთან მიმართებაში 19,16%-დან 21,61%-მდე იზრდება, რაც საქართველოს საგანმანათლებლო სივრცისთვის კარგი მაჩვენებელია.

უნივერსიტეტში დანერგილია და ფუნქციონირებს მენეჯერული ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა, რომლითაც უზრუნველყოფილია დაწესებულების მიზნების მიღწევისას რესურსების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიური და ეფექტიანი გამოყენება; გაცმული **რეკომენდაცია:** სასურველია მეტი გამჭვირვალობა ბიუჯეტის დაგეგმვის კუთხით, კერძოდ, ინტერნაციონალიზაციასა და ადმინისტრაციას შორის გადაკვეთასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია შესრულებულია: უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენა და შემუშავება ხდება სასწავლო წლის დაწყებამდე, არსებულ ფაკულტეტებთან, სადოქტორო სკოლასთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად. ბიუჯეტირების დროს დეტალურად ხდება პროგნოზირება და განსაზღვრა როგორც შემოსავლის ყველა შესაძლო წყარო და მათი ოდენობა, ასევე ხარჯვითი ნაწილის დაგეგმვა, რომელიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და მიზნებზე. ბიუჯეტი შედგება სამი ძირითადი აქტივობისგან: საოპერაციო აქტივობა, საინვესტიციო აქტივობა და საფინანსო აქტივობა, ეს აქტივობები თავის მხრივ მოიცავს შემოსავლების და ხარჯვითი ნაწილის მუხლებს, სადაც აკუმულირებულია დეკანატებიდან, სადოქტორო სკოლიდან და სხვა სტუქტურული ერთეულებიდან მოწოდებული ხარჯები. ბიუჯეტის საოპერაციო აქტივობების ხარჯვითი ნაწილი შედგება სამი ძირითადი მუხლისგან: ადმინისტრაციული/საერთო ხარჯების, სასწავლო/სამეცნიერო აქტივობების ხარჯების და საგადასახადო ხარჯისაგან, რომელთაც თავის მხრივ აქვს ქვემუხლები: ადმინისტრაციული/საერთო ხარჯი ქვემუხლებია: თანამშრომლებზე გაწეული ფულადი სახსრები; სტიპენდიების ხარჯი; მივლიების ხარჯი; წარმომადგენლობითი ხარჯი; ელექტრონული რესურსებით სარგებლობის მომსახურების ხარჯი; სხვა მომსახურებასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები და სხვ. სასწავლო/ სამეცნიერო აქტივობების ხარჯის ქვემუხლებია: აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო კვლევების დაფინანსება; კონფერენციების, სემინარების, საჯარო ლექციების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების და სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებისთვის საჭირო ხარჯები; სხვადასხვა კვლევითი აქტივობების გამოქვეყნების ხელშეწყობის დაფინანსება; მიზნობრივ გრანტებთან და პროექტებთან დაკავშირებული ხარჯები და სტუდენტების კარიერული განვითარებისათვის ხელშეწყობის ხარჯები.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ფინანსური აუდიტის ჩატარებას, რომლის შედეგად შედგენილი დასკვნები და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და შეფასების წესი - განახლებული რედაქცია დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 26 ივლისის #125-22 ბრძანებით; • სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი ფინ. ანგარიშგება 2021; • უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • ბოლო 5 წლის დაფინანსების დინამიკა; • 2022-2023 სამეცნიერო-კვლევითი ხარჯების მტკიცებულებები; • რეკომენდაციების შესრულების ანგარიში; • დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	240	აკრედიტებული	29.10.2012 № 11-12; 08.09.2023 № 04-23
2	ტურიზმი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში	240	აკრედიტებული	29.10.2012 № 11-12; 08.09.2023 №04-23

3	ბიზნესის ადმინისტრირება(ინგლისურენოვანი)	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	28.09.2009 № 02-09/09; 08.09.2023 № 04-23
4	სამართალი	ქართული	სამართლის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	
5	საერთაშორისო ურთიერთობები	ქართული	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	31.03.2015 №02-15; 08.09.2023 N04-23
6	ფსიქოლოგია	ქართული	ფსიქოლოგიის ბაკალავარი	240	აკრედიტებული	18.11.2019 №09-19; 08.09.2023 №04-23
7	პოლიტიკი მეცნიერება	ქართული, ინგლისურნოვანი კომპონენტებით	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავარი	240	აკრედიტებული	27.11.2019 №10-09; 08.09.2023 N04-23
8	სოციოლოგია	ქართული, ინგლისურნოვანი კომპონენტებით	სოციოლოგიის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	27.11.2019 N10-09; 08.09.2023 №04-23
9	თეოლოგია	ქართული	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი თეოლოგიაში	240	აკრედიტებული	28.09.2009 № 02-09/09; 02.02.2023 №01-23
10	ინგლისური ფილოლოგია	ქართული, ინგლისურნოვანი კომპონენტებით	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში	240	აკრედიტებული	07.07.2023 N 03-23
11	სამართალი	ქართული, ინგლისურნოვანი კომპონენტებით	სამართლის მაგისტრი	120	აკრედიტებული	27.12.2013 № 12-13; 08.09.2023 № 04-23
12	საჯარო მმართველობა	ქართული	საჯარო მმართველობის მაგისტრი	120	აკრედიტებული	14.02.2020 №03-20; 08.09.2023 №04-23
13	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	120	აკრედიტებული	17.02.2017 № 01-17; 08.09.2023 №04-23
14	ადამიანური რესურსების მართვა	ქართული, ინგლისურნოვანი კომპონენტებით	ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი	120	აკრედიტებული	29.04.2022 № 03-22; 08.09.2023 № 04-23

15	თეოლოგია	ქართული	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი თეოლოგიაში	120	აკრედიტებული	28.09.2009 № 02-09/09; 08.09.2023 № 04-23
16	სამართალი	ქართული	სამართლის დოქტორი	56 ECTS + სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი	აკრედიტებული	26.04.2021 №05-21; 14.07.2022 №04-22
17	თეოლოგია	ქართული	თეოლოგიის დოქტორი	58 ECTS + სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი	აკრედიტებული	26.04.2021 №05-21; 14.07.2022 №04-22
18	საჯარო მმართველობა	ქართული	საჯარო მმართველობის დოქტორი	46	აკრედიტებული	08.12.2021 №08-21; 14.07.2022 №04-22